წელიწადი მესამე          ფასი 10 კ.          პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 2 ოქტომბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 37

## ჟურნალის შინაარსი

27 ძველ ამხანაგებს; ტკბილი სიზმარი და სინამდვილე—**ყარიბი**; ფაშისტებთან თუ კომუნისტებთან—**გ. ძველაია**; ქართველ ემიგრაციაში; რა სურს ემიგრაციას—**ლ. შენგელაია**; დამოუკიდებელი საქართველო და რუსი ემიგრანტები—**ალ. ხელაძე**; პოლიტიკური მიმოხილვა—**კ. ჭეიშვილი**; ინდუსტრიალიზაციის სესხი და მშრომელთა მოვალეობა—**ს. ელიაძე**; მომჭირნეობის რეჟიმი—**ვ. მამ-ლი**; ალექსანდრე სუმბათაშვილი—იუჟინის სამგლოვიარო საღამოზე—**ჯაფარ-ფაშა**; ჩემი შთაბეჭდილებანი—**ლ. კუპრაშვილი**; თბილისის ქალაქის კომუნალურ სექციაში—**საბჭოს წევრი**; რკინის გზის მთავარ სახელოსნოების 27 მუშის დეკლარაცია. ლენინის უბანი—**ლ. ბებერი**; წერილი პროვინციიდან—**გ. ძაბილაშვილი.**

# 27 ძველ ამხანაგებს

ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიკოსი ამ მოძრაობის კერათ უეჭველად დასახავს საქართველოს დედა-ქალაქს თბილისს და მის აკვნად ქალაქის იმ ნაწილს, რომელსაც „ნაძალადევი“, ქვიოდა და რომელსაც დღეს საქართველოს პროლეტარიატი სიხარულით ამკობს ლენინის სახელით.

ძველი ნაძალადევი, ნახალოვკა! რა საყვარელი სახელებია რევოლიუციონერისთვის! ამ სახელების გაგონებაზე სიხარულის ჟრუანტელი დაუვლის ხოლმე ტანში კავკასიაში მომუშავე რევოლიუციონერს.

ნაძალადევი! აქ პირველად ჩაისახა რევოლიუციონერთა პატარა წრე, აქ პირველად აირწო საქართველოში რევოლიუციონური აზროვნების აკვანი, პირველად დაიდგა რევოლიუციონური რადიო, რომლის საშუალებით მთელს საქართველოსა და ამიერ-კავკასიას ეფინებოდა რევოლიუციონური სული, რევოლიუციონური ექსტაზი და აღმაფრენა. აქ მზადდებოდა და იჭედებოდა პროლეტარიატის რევოლიუცინური ნებისყოფა, იზრდებოდა რევოლიუციონური აღტყინება.

ნაძალადევი და იქ მოთავსებული სახელოსნოები, თავიდანვე წარმოადგენენ იმ მოტორს, რომელიც რევოლიუციონურ ფორმებში აყალიბებდა ხალხში საუკუნოებით დაგუბებულ უკმაყოფილებასა და შურის-ძიების გრძნობებს და პერიფერიებს უგზავნიდა ბრძოლის ლოზუნგებათ. ვინ იყვენ ამ რევოლიუციონური მოტორის მუშაკები, ამ დაგროვებულ ენერგიის რევოლიუციონურ ლოზუნგებად ჩამომყალიბლებლები, ცხოვრებაში მისი გამტარებლები, მისი კონდუქტორები?

ესენი იყვნენ იმავე ნაძალადევში მოკალათებული მუშები, ესენი იყვნენ საქართველოსა და საერთოდ ამ.-კავკასიის პროლეტარიატის აქტივი, რომელიც წარმოადგენდა რევოლიუციის პირველ გაფიცულებს; რკინის ლეგიონებს, რომლებიც უშიშრად ეკვეთებოდენ საშინელ მტერს და თვისი რევოლიუციონური თავგანწირულებით ზრდიდენ და წვრთნიდენ რევოლიუციონერთა მთელ თაობებს.

ნაძალადევის ყოველი კუთხე, ყოველი ეზო, ყოველი ქოხი, ხის ძირი, სავსეა რევოლიუციონური ლეგენდებით. ნაძალადევში გავლის დროს თქვენში ილვიძებს რევოლიუციის მთელი ეპოსი, თქვენ თავსა გრძნობთ რევოლიუციონერთა აჩრდილებს შორის.

და რევოლიუციის ლამაზი ეპოქის კერა ნაძალადევს უკეთეს სახელს ვერ მოუნახავდა საქართველოს პროლეტარიატი, თუ არა მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი ლენინის სახელს.

საქართველოს ისტორიაში მარადიული ნაძალადევი, დღეს მარადიული ძეგლია უკვდავი ლენინისა.

ნაძალადევი და მისი სახელოსნოების უდრეკი ხერხემალი იყო ს.-დ. პარტიის ორივე ფრაქციისა, მაგრამ აქ გეგემონის როლი მენშევიკურ ფრთას ეკავა, აქ პოულობდა იგი თავის მაგარ დასაყრდნობს.

მაგრამ 1921 წლის თებერვლის თვეში, საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად, გადატყდა ქართული მენშევიზმის ხერხემალი. ფაქტიურად დამარცხებული პარტიის წევრებმა, რომლებმაც თავისი საკუთარი თვალებით დაინახეს მათი ლიდერების ვერაგობა, დაიწყეს ძველი პარტიის რიგების მიტოვება და უფრო რევოლუციონურ ფრაქციის—კომუნისტური პარტიის რიგებში გადასვლა.

მაგრამ ნაძალადევი და სახელოსნოების მუშები რაღაცას ყოყმანობდენ, ეტყობოდათ: მათ ჯერ კიდევ ვერ გამოერკვიათ საბოლოოდ შექმნილი მდგომარეობა, ვერ აერჩიათ მომავალი მოქმედების გეზი.

გატეხილი უნდა ვთქვათ, რომ სახელოსნოების მუშების უმეტესობა კიდევ გაჟღენთილი იყო მენშევიკური სულით, იქ ძლიერი იყო ანტი-საბჭოთადმი მტრული განწყობილების გრძნობა.

ძნელი ყოფილა ძველი მებრძოლისათვის თავისი ძველი პოზიციების დატოვება და ახალზე გადასვლა. თბილისის სახელოსნოს მუშებსაც, რომლებსაც თავისი რევოლიუციონური ნებისყოფით, თავის უკეთეს ძმათა და შვილთა სისხლის ფასით, შექმნეს დიდი და ძლიერი ს.—დ. პარტია, ვერ ახარხებდენ ძველი პოზიციების დატოვებას, იმ პოზიციებისას, რომლებიც მოკირწყლული იყო მებ-

რძოლთა მთელი თაობის ძვლებით, გაპოხიერებული იყო მისი სისხლით.

მაგრამ ქართველ ხალხს, ქართველ მუშებსა და გლეხებს სრულიად მოულოდნელად დაატყდა თავზე უდიდესისი უბედურება. ეს იყო 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა, რომელიც ჟორდანია-რამიშვილმა თავს დაატეხეს მშრომელ საქართველოს.

ამ უბედურებამ მრავალი მუშა და გლეხი შეიწირა მსხვერპლად. მაგრამ სამაგიეროდ მან ერთი სარგებლობა მაინც მოუტანა ქართველ ხალხს: ამ აქტში ყველამ დაინახა მენშევიკების ლიდერების ვერაგობა და ხალხის გამცემლობა.

და ეს შეიქნა უკანასკნელ წვეთად, რომელმაც აღავსო ქართველი მუშების მოთმინების ფიალა.

ახლა ყველამ დაინახა, რომ მენშევიკური პარტია მისმა ძველმა ლიდერებმა გადაჩეხეს ისეთ ავანტიურის ხრამში, საიდანაც ის ვერასოდეს ვერ ამოვიდოდა.

ეს იყო მიზეზი, რომ ყოფილმა მენშევიკმა მუშებმა და მათ შორის ნახალოვკისა და სახელოსნოების მუშების დიდმა უმეტესობამ, დასტოვეს თავისი ძველი პოზიციები და გადავიდენ კომუნისტურ პარტიაში.

ამ დღიდან თბილისის სახელოსნოებში დარჩა მხოლოდ რამდენიმე „თომა ურწმუნო“, რომელთაც არ მიიღეს ახალი მესია და კიდევ ძველ ღმერთებზე ლოცულობდენ. ასეთების რიცხვი ერთობ მცირე, სულ ოცდაშვიდი კაცი იყო, ოცდაშვიდი ძველი მუშა მენშევიკი, რომლებსაც უშუალოთ მიუძღვის წილი პარტიის შექმნაში, მისი სახელის გადიდებაში, მის გაძლიერებაში.

დღეს ყოფილი მენშევიკების ეს პატარა ჯგუფი საუკუნოთ სტოვებენ თავის ძველ კერპებს, და აშკარად გადადის კომუნისტურ პარტიაში, რათა მთელი თავისი ძალ-ღონე, დიდი გამოცდილება და რევოლიუციონური ენერგია შესწიროს კომუნიზმისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

ეს 27 ამხანაგი ოდესღაც დიდი ს.-დ. პარტიის ის ნაშხეფი მძევალსავით იყო დარჩენილი თბილისის სახელოსნოების მუშებს შორის და ამ ამხანაგების კომუნისტების რიგებში გადასვლით სრულიად ამოწურულათ უნდა ჩაითვალოს მენშევიკური პარტიის წევრებისა და მისი თანამგრძნობების რიცხვი დასახელებულ სახელოსნოებში.

დღეს ახალგზელთა ოჯახში ზეიმია. ის ზეიმობს მისი საყვარელი 27 ამხანაგის დაბრუნებას. დღეს კავკასიის რევოლიუციის უდიდეს მოტორ —თბილისის სახელოსნოებში არ დარჩა არც ერთი მენშევიკი, არც ერთი „თომა ურწმუნო. ყველა ისინი გულწრფელად შედიან კომუნისტურ პარტიაში და დღეიდან იქ აწარმოებენ მათთვის ჩვეულებრივ ბრძოლას თავისი საბჭოთა საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მტრებთან.

გუშინდელი ჩვენი „უძღები“ ძმები დაუბრუნდნენ ჩვენს რევოლიუციონურ ოჯახს. დღეს დაგვიბრუნდენ დუხჭირი ცხოვრებისაგან განაწამები **ზაქროს** შვილები და ზაქროს სიტყვებითვე გვესალმებიან: მოვდივართ, ძმებო!

„თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან სიკვდილი,
თქვენთან ყოფნა და თქვენთან დარჩენა!“.

და ჩვენც მხურვალე გულით ვეგებებით ჩვენს ამხანაგებს და **კაკოს** სიტყვებით მივესალმებით:

„მოგვწონს ეგ სიტყვა, თქვენც მოგვეწონეთ
და ამისთვისა გენდობით თქვენა!“.

მობრძანდით, ძვირფასო ამხანაგებო! დაიჭირეთ თქვენი საპატიო ადგილი რევოლიუციის სადარაჯოზე!

# ტკბილი სიზმარი და მწარე სინამდვილე

ქართული თქმულებაა: სხვისი ცოლის ამარა ფართე ლოგინს ნუ დაიდგამო.

ისე არსად არ მართლდება ეს თქმულება, როგორც პოლიტიკაში. პოლიტიკა მებრძოლ ძალთა განწყობილების საქმეა. გაქვს ფიზიკური ძალა—პოლიტიკურ ბრძოლაში შენი საქმე მოგებულია, არა გაქვს—წაგებულია...

პოლიტიკური ბრძოლის დროს სხვისი იმედი:—სხვა დამეხმარება და მტერს დავამარცხებო, — საკუთარი თავის მოტყუილებაა და მეტი არაფერი.

პოლიტიკური ბრძოლის დროს არც მოწინაალმდეგის დაუძლურებისა და დასუსტების ვარაუდია საიმედო საქმე: — აქაოდა მტერი თავისთავად დაუძლურდება, მაშინ დროს უშოვნი, თავს დავესხმი და დავამარცხებო, თავის ისეთივე მოტყუილებაა, როგორც პირველი ვარაუდი. ასე დაიმედებულ პოლიტიკურ მოღვაწეს თუ მთელ პარტიას აუცილებლად დაემართება იგი, რაც დაემართა მშიერ მელიას, რომელმაც იფიქრა: ცხვარს დიდი დუმა აქვს, ის იმის ლოლაჯანს თრევას ვერ შესძლებს, აუცილებლად მოსწყდება, მე შევსანსლავ და მშიერ მუცელს გავიძღებო... ცხვარს დუმა არ მოსწყდა. მელია კი შიმშილით მოკვდა..

ჟორდანია - რამიშვილმა ეს თავის-თავის მოტყუილების მეთოდი გაიხადეს პოლიტიკური ბრძოლის საგნად. ისინი თავის იდეალების განხორციელებას, ესე-იგი საქართველოდან კომუნისტების განდევნას და თავის საკუთარი ბატონობის აღდგენის იმედებს მუდამ სხვებზე, გარეშე ძალებზე ამყარებდენ. ისინი მუდამ იმას ჩაჩიჩინებდენ და ჩასჩიჩინებენ ყურებში თავის ადეპტებს, რომ კომუნისტებს. მსოფლიო იმპერიალისტები ვერ შეურიგდებიან, როგორც თავის ანტიპოდებს; ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები მალე მოახდენენ მოსკოვის იზოლიაციას და მაშინ ჩვენც ადვილად განვახორციელებთ ჩვენს მიზნებსო.

სხვისი, გარეშე ძალების იმედი ასულდგმულებდა საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას მისი დაბადების პირველ დღიდანვე. ნ. რამიშვილმა ბათომიდან გაქცევის წინადღეებში აშკარად გამოუცხადა დამფუძნებელ კრებას:

„როცა კომუნისტებთან ბრძოლას ვიწყებდით, ჩვენ სულაც არ ვფიქრობდით, რომ ჩვენი საკუთარის ძალით რუსეთის გამკლავებას შევსძლებდით. ჩვენ იმედებს ვამყარებდით მხოლოდ ორ გარემოებაზე: ვფიქრობდით, რომ დასუსტებულსა და როგორც საშინაო ისე საგარეო ომებით ილაჯ გამოცლილ რუსეთში არეულობა მოხდებოდა, ბოლშევიკები დაინგრეოდენ და ჩვენ ამით ვისარგებლებდით“.

აი რა იმედი ასულდგმულებდა იმ თავიდანვე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას. მაგრამ მას არ გაუმართლდა ეს იმედი...

მიდიოდა დრო და ევროპაში მოხეტიალე ჟორდანიასა და მისი ბუტაფორული მთავრობის მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა: იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტი კონფლიქტზე ხდებოდა და ხდება, მაგრამ საბჭოთა წყობილებას ამით სულაც არაეფრი არ დაკლებია. პირიქით, იგი დღითი დღე მაგრდება და წინ მიდის. ბურჟუაზიის ეტლი კი ისევ ისე სდგას ერთ ადგილზე, ლაფში ჩაფლული. მისი ამოთრევა და სწორსა და მყარ გზაზე დაყენება დღითი დღე შეუძლებელი ხდება.

ჟორდანია - რამიშვილი კი გულის კანკალით მოელიან ახალ - ახალ გართულებებს საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტური სახელმწიფოებს შორის. ვერც კი მოასწრებს ვინმე მისტერ ხიკსი საბჭოების რომელიმე წარმომადგენელის წინაალმდეგ ხმის ამოღებას, რომ ჟორდანია-რამიშვილი ასტეხენ ერთ აურ - ზაურს: არიქა, დადგა ჩვენი გამარჯვების დღე. ევროპა ახდენს მოსკოვის იზოლიაციას. აბა, ბიჭებო, დაკარით მტერს!

ქართველო ხელი ხმალს იკარ,
დრო დაგიდგა დიდებისა.
თოფ-იარაღი აისხი.
დრო მოდის გამარჯვებისა!

ასეთი განგაში ასტეხეს ჟორდანია - რამიშვილმა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის გართულების დროს. სწორედ ამ დროს გააბედნიერეს მათ საქართველო სადირექტივო წერილების გამოგზავნით, იმ მოსაზრებით, რომ დაწყებულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი დამარცხდება, კომუნისტები იძულებული იქნებიან საქართველო დასტოვონ და მათი ხელისუფლების მაგიერობა სხვებმა არ მოგვასწრონო.

ასევე მოიქცენ ისინი საფრანგეთთან გართულების დროსაც. მაგრამ აქაც იმედები არ გაუმართლდათ: კომუნისტებს „დუმა არ მოსწყდა" და სხვისი იმედების შემყურე პოლიტიკოსები ისევ ისე დარჩენ ძველებურად ცალიერ — ტარიელები.

ამას კიდევ ვინლა ჩიოდა: ჟორდანია და მისი „მთავრობა" ასეთ მდგომარეობას კარგი ხანია რაც შეეჩვიენ. ისინი, როგორც იქნებოდა, კიდევ იზოგინებდენ ახალ „გართულებამდე", კიდევ მოატყუილებდენ თავის ადეპტებს: ერთი სულის მოთქმით არაფერი არ გაკეთდება. ხალხის თავისუფლება დიდი ხნით იქედება. ობლის კვერი გვიან ცხვება, მაგრამ როცა გამოცხვება კარგი იქნებაო...

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჟორდანიამ და მისმა „მთავრობამ" ახლ - ახალი „რაზოჩაროვანიე" იგემეს, მათ ახალი მარცხი მოუვიდათ.

საქმე შემდეგშია:

იმპერიალისტური სახელმწიფოების საბჭოთა კავშირის წინაამდეგ ვერაგულმა გამოლაშქრებამ არა მარტო მათ გაუღვივა უკვე ჩაფერფლილი იმედები სამშობლოში დაბრუნებისა და იქ „ყოვლად მოწყალე" იმპერიალისტური სახელმწიფოების მეოხებით ხელ-ახლა გაბატონებისა. ასეთივე იმედები აღეძრათ რუს ემიგრანტებსაც. ამ უკანასკნელების ყველა ფენები, ყველა პოლიტიკური პარტიები სრულიად დარწმუნებული იყვენ იმაში, რომ რაკი ინგლისი „შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილით", ის კომუნისტებსა და მათ საბჭოთა წყობილებას კარგ დღეს არ დააყენებსო... მათ წითელი მოსკოვი გაშავებულათ მოეჩვენათ და კრემლი გაცარიელებულად და ჯერ თეორეტიულად, ისე, ყოველ შემთხვევისათვის, შეუდგენ უპატრონოთ დარჩენილი საბჭოთა კავშირის ბედის მოგვარებას.

ჯერ რუსი მონარქისტები ატორტმანდნენ.

დაიწყეს თუ არა ლაპარაკი ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის გართულების შესახებ, მონარქისტები სამზადისს შეუდგენ. მათ უკვე დაიწყეს საომარი მზადება. მაგრამ დახეთ საკვირველებას! — მათ ჯერ რეპუტაციის გამოსწორებას, ძველი, წამხდარი კონდუიტის შესწორებას შეუდგენ. ეტყობა, ათი წლის განმავლობაში იმპერიალისტური სახელმწიფოების კარის კარ ხეტიალის დროს, მათაც რაღაცა უსწავლიათ. მათ უკვე შეუგნიათ, რომ მარტო „სტოლიპინის გალსტუკით" ევროპაში თავს ვერავის მოაწონებენ. ამიტომ თავისი მგლური კბილები დროებით სადღაც მიუმალავთ და ლიბერალიზმის ფერ - უმარილით მოინდომეს ევროპის საზოგადოებრივი აზრისა და ყველაზე უფრო დემოკრატიისათვის თვალების აბმა...

ამ მიზნით მათ წარსულ წელსვე, როცა ინგლის-საბჭოთა შორის პოლიტიკური გართულება ჯერ კიდევ არ მისულიყო თავის ლოღიკურ დასკვნამდე, მოიწვიეს „ზარუბეჟნიკების" ყრილობა და ზოგი რამ ლიბერალური დადგენილებაც მიიღეს... სხვათა შორის საქართველოსა და სომხეთის „დამოუკიდებლობა" იცნეს...

ან კი რატომ არ უნდა ეცნოთ? რა ეხარჯებოდათ? ამით ისინი მხოლოდ თავის საკუთარ საქმეს იკეთებდენ: „განათლებულ" ევროპას.

„განათლებულ" ევროპას თავისი „ლიბერალობა" დაანახვეს: ერთი შემოგვხედეთ, რა გულშემატკივრები ვართ პატარა დაჩაგრულ ერებისადმიო! მათ ხომ ჩინებულად იციან, რომ, თუ დარი დაუდგათ, ხელს არავინ შეუშლის იმავე საქართველოს თუნდაც სრულ განადგურების საქმეში. ეს ლიბერალური ფერ-უმარილი კი საუკეთესო საშუალება იყო მათი მგლური კბილების დასაფარავად.

თურმე მონარქისტებზე უფრო „კრიჟანგები" ბრძანებულან ეგრეთ წოდებულ „დემოკრატიულ გაერთიანებაში" თავმოყრილი ჩვენი კარგი ნაცნობები: კადეტები, პროგრესისტები და მემარჯვენე ესერები.

ესენი, ალბად, დარწმუნებული ბრძანდებიან იმაში, რომ ევროპა საკმაოდ იცნობს მათ „განათლებულ ლიბერალიზმს" და ამიტომაც ისინი ფერ-უმარილის უმისოდ, თავისი საკუთარი სახით წარსდგენ ევროპის დემოკრატიის წინაშე... რა ჩაგრული ერები, ვინ ჩაგრული ერები? რა საჭიროა მათთვის დამოუკიდებლობა? იმათ პირდაპირ გამოაცხადეს, რომ ისინი სცნობენ მხოლოდ განუყოფელ დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ რუსეთს.

„დემოკრატიული გაერთიანება" და მისი ლიდერები გულწრფელი პოლიტიკოსები ბრძანებულან. ისინი იმას ლაპარაკობენ, რაც ენაზე მოადგება. ამიტომ არის, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც გულწრფელობას იჩენენ და საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, არა თუ ისეთ პატარებს, როგორც ორნახევარ მილიონიანი საქართველოა, თვით ორმოც მილიონიან უკრაინასაც მოსპობით ემუქრებიან. „დემოკრატიული გაერთიანების" ბრძენი პოლიტიკოსები ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლად არსებობის ნაცვლად გვპირდებიან მხოლოდ **„ფედერაციას ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლებით**, ესე იგი **ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას**, „ფედერაცია" კი აქ ისე „აბადელი, დელიასავით", არის ნახმარი სიმღერის „გასამხვავრიელებლად".

მაგრამ ჟორდანია-რამიშვილისათვის ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ პატარა ერებისა და რესპუბლიკების „ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისათვის" დაქვემდებარებისა და მათი დამოუკიდებლობის მოსპობის საქმეში „დემოკრატიულ გაერთიანების" ჯგუფს არც რუსი მენშევიკები და „მემარცხენე" ესერები ჩამოუვარდებიან თურმე. ყველა ესენიც იმავ კადეტებისა და მემარჯვენე ესერების „ფედერაციის ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლებით" ემხრობიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „თვითეული ერისთვის მეტ უფლებას" მოითხოვენ ხოლმე. ეს უკაცრავად პასუხია, სოციალისტებიც იმავ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლებით აბედნიერებენ საბჭოთა კავშირში, როგორც სწორი სწორთან შესულ პატარა ერებს, ესე იგი ემხრობიან ამ ერების სუვერენობის მოსპობას და აქ „თვითეული ერის მეტი უფლებები", ისე, ანდუყაფარის ლექსათ იქნება ნახმარი...

ასეთია დღეს ევროპაში მოხეტიალე რუსი ემიგრანტების ყველა პარტიების სულისკვეთება, ასეთია მათი პოლიტიკური სახე. და სრულიად მართალი ბრძანდება „საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო „დამოუკიდებელი საქართველო", როცა თავის მოწინავე წერილში ამბობს:

„არ არის არც ერთი პოლიტიკური მიმართულება ემიგრაციაში, რომელიც მზად იყოს დათმოს ამა თუ იმ ერის დღევანდელი კავშირიდან გამოყოფა". (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო", №19, ივლისი 1927 წ.).

მერე ჩვენც ამასვე არ მოვახსენებდით ნ. ჟორდანიას სამი წლის წინად? იმას არ ვამტკიცებდით ჩვენ ხელში ფაქტებით, რომ არა თუ ახლა, არა თუ რუსი ემიგრაციაში, თვით რუსეთშიც არასოდეს არ იყო არა თუ პოლიტიკური პარტია, არამედ კერძო პირი, მწერალი (გარდა ლ. ნ. ტოლსტოისა), რომელიც რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ერების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიმხრობოდეს მეთქი?

ჟორდანია-რამიშვილებმა მხოლოდ დღეს გაიგეს ეს ჭეშმარიტება. ის მხოლოდ ახლა აწუწუნდენ ამის შესახებ.

მაინც რას შვრებიან ასეთ მდგომარეობაში ეს უსაქმო და უნიადაგო ხალხი?

ეს ცხოვრების ხორცმეტები ძლიერ აღშფოთებული არიან რუსეთის ყველა პარტიების ასეთი მოღალატეობით. ასინი ისეთ მდგომარეობაში არიან, როგორშიც იყო საცოდავი ლუარსაბ თათქარიძე, როცა დაესიზმრა, რომ ამ

მოკვდა და მისმა თანამეცხედრე დარეჯანმა მას ულალატა და ცოცხლებში დარჩენა ამჯობინა. გულ-ამომჯდარი ლუარსაბი ტირილით ემუქრებოდა მოღალატე ცოლს:— დამაცა, დარეჯან, შენც ჩემთან არ მოხვალ საიქიოსო!

აბა მოუსმინეთ ამ უსაქმო ხალხს, თუ „კაცია ადამიანი“-დან ეს სცენა არ მოგაგონდეთ.

„ვეკითხებით თავს: რამდენად სავალდებულოა რუსებისათვის ასეთი პოზიცია, განურჩევლად მიმართულებისა.—ნუ თუ უბრალო სამართლიანობის გრძნობა და გონიერება ვერ პოულობს მათში გამოძახილს? ჩვენ გვესმის მემარცხენეთა ნაციონალიზმი და მემარცხენეთა პაციფიზმი. უეჭველია, ყველა ისინი იმყოფებიან გამქრალი იმპერიის გიპნოზის ქვეშ, ვერ წარმოუდგენიათ რუსეთი უჩვენოთ... უნდა ნახოთ, როგორის გულწრფელობით და აღელვებით გვედავებიან ისინი თავისუფლების, დამოუკიდებლობის საკითხში. გეგონებათ, ჩვენ ვაწყენინეთ ამით ცასა და ქვეყანას. ვითომ გვინდოდეს წავართვათ რუსებს მათი მიწა-წყალი, ხალხი, სიმდიდრე“. (იხ. „დამ. საქართველო“, № 19, მოწინავე).

ასეთია ეს უძლურთა ცრემლები, ლუარსაბის ძილში წუწუნი! ასე სასოწარკვეთილებით მოსთქვამენ დღეს ჟორდანია-რამიშვილები რუსი ემიგრანტების პოლიტიკური პარტიების „მოღალატეობაზე“, თითქოს ეს ახალი ამბავი იყოს ვინმესთვის.

და ნ. ჟორდანია-რამიშვილის ამ გულუბრყვილო საჩივარს ბანს აძლევს თვითონ გიორგი გვაზავა, რომელიც განცვიფრებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ მილიუკოვები ქართველ ხალხს თავისუფლების მიცემას არ უპირებენ. მერე არ იკითხვათ, თუ რა ცოტა რამე ნდომებიათ ყველა პატარა ერებს და კერძოთ საქართველოს?! თურმე:

„ამ ერებს არ უნდათ სხვისი ბატონობა, არ უნდათ ხელი აილონ თავის მიწა-წყალზე... უნდათ თავისუფალი და ღირსეული ცხოვრება, უნდათ სხვა ერებთან ძმური თანამშრომლობა, დამყარებული უფლებაზე“. (იქვე).

რა გულუბრყვილო ბრძანებულა მოქ. გვაზავა! მაგის ამ გულუბრყვილობასთან ერთად ტყუილებისადმი სიყვარულსაც იჩენს. ის წარბ-შეუხრელად უმტკიცებს მილიუკოვებს, რომ „საქართველოს მთავრობა (ლაპარაკია ევროპაში მოხეტიალე საშავორშაფათო ყეენებზე) არ არის კერძო ორგანიზაცია“, რომ „იგი წარმოიშვა დამფუძნებელი კრებისაგან, რომელიც არჩეული იყო საყოველთაო ხმის მიცემით მთელი ერის მიერ და გამოხატავდა ეროვნულ ნებისყოფას. ამ მთავრობას, საერთაშორისოდ ცნობილს, ზედ დაერთო კიდევ დამფუძნებ. კრების ყველა ფრაქციები და ამნაირად შეიქმნა მართლა პოლიტიკური ცენტრი, რომლის ხელისუფლებრივი საფუძველი და პოლიტიკური შინაარსი იქვს გარეშეა“. (იქვე).

საცოდავი გვაზავა! როგორა ჰგავს იგი ღამე ტყეში შეშინებულ ებრაელს, რომელიც ერთ ხელზე ქუდს იფხატავს, მეორეზე—„არახჩინს“ და მოჩვენებულ მტერს უყვირის:—გზა! სომ ხედავ, რომ მარტო არა ვარ, ჩვენ სამი კაცი ვართო!

ასეთ მოკლეფეხებიანი ტყუილებით ცდილობენ „საქართველოს განმათავისუფლებლები“ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევას. ასეთ ტყუილებით უნდათ დააჯერონ ისტორიის პროფესორი პაველ მილიუკოვი, ის მილიუკოვი, რომელმაც გვაზავებზე უფრო კარგად იციან თუ რა „უფლებრივ“ ღირებულებას წარმოადგენს დღეს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ შერჩენებული და ღირსება აყრილი, დღეს ევროპაში მოხეტიალე „დემოკრატიული მთავრობა“.

ასეთ სასოწარკვეთილებას განიცდიან დღეს ჟორდანია-რამიშვილები. იმათ მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ მათი საქმე სამუდამოთ წაგებულია, რომ მათი გულისთვის ევროპის არც ერთი სახელმწიფო არ ამოიღებს ხმალს ქარქაშიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ ევროპაში მოხეტიალე შავი რუსეთი არა თუ ბუტაფორული მთავრობის მოთხოვნით, პლებისციტშიც რომ გამოთქვას მთელმა ქართველმა ხალხმა სურვილი რუსეთიდან ჩამოშორების, მაშინაც ყურს არ დაუგდებენ მის სურვილს და საქართველოსა და ქართველ ხალხს „ძლიერ ცენტრალური ხელისუფლების“ ყურმოჭრილ მონად გახდიან.

ეს მხოლოდ დღეს შეიგნო ნოე ჟორდანიამ. აქამდე კი მან ყურები გამოგვიჭედა იმის მტკიცებით, რომ მთელი მსოფლიო ჩემთან ერთად არის და საქართველოს დამოუკიდებლობას იცავსო და თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდა, საქართველოს ბედს ძაღლიც არ დააყეფსო.

თურმე საქმე არც ისე კარგად ჰქონიათ „საქართველოს განმანთავისულებლებს“. ახლა სხვა პერსპექტივები იშლება მათ თვალწინ. ისინი ახლა ტყობილობენ, რომ

„არ არის არც ერთი პოლიტიკური მიმართულება ემიგრაციაში, რომელიც მზად იყოს დათმოს ამა თუ იმ ერის დღევანდელი კავშირიდან გამოყოფა“.

ეს მიხვდა ნ. ჟორდანიამ. მერე როგორ გგონიათ, როგორ ლოღიკურ დასკვნას აკეთებს იგი ამ ახალი აღმოჩენიდან?

ყოველი პატიოსანი მებრძოლი, ყოველი პოლიტიკური მოღვაწე ასე იტყოდა:

რაკი რუსეთში არ არსებობს ისეთი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც მზად იყოს დათმოს საქართველოს დღევანდელი კავშირიდან გამოსვლის უფლებაც კი, მაშ გაუმარჯოს ისეთ კონსტიტუციას, რომელიც გვეუბნება:

— **„თვითეული მოკავშირე რესპუბლიკა შეინარჩუნებს უფლებას თავისუფლად გამოვიდეს კავშირიდან“.**

ჟორდანია ასეთ ლოღიკურ დასკვნას არ აკეთებს. რატომ? იმიტომ, რომ ეს კონსტიტუცია, რომელიც ყველა ერებს ანიჭებს კავშირიდან თავისუფლად გამოსვლის უფლებას, ესე იგი სცნობს ყველა ერების დამოუკიდებლობას, არის საბჭოთა კონსტიტუცია, საბჭოთა წყობილება. და ჟორდანია კი როგორც ეშმაკეულიდან, ისე იჯმნის საბჭოთა წყობილებიდან და მისი კონსტიტუციიდან.

საცოდავი ნ. ჟორდანია. რა გულწრფელად სწამდა მას, რომ მისი მიზნების განხორციელებაში მას დაეხმარებოდა არა მარტო ევროპის იმპერიალისტური მთავრობები, არამედ შავი მოსკოვიც. რა იმედებით სწერდა იგი:

„საქართველოს მისი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში, გარდა სხვა სახელმწიფოებისა, იმედი უნდა ჰქონდეს მოსკოვისაც, როცა ის ბოლშევიკების ბატონობიდან თავს დაიხსნისო“.

ასეთ იმედებს ამყარებდა ნოე ჟორდანია შავ მოსკოვზე წითელ მოსკოვთან ბრძოლაში.

დღეს რას ვხედავთ?

დღეს შავი მოსკოვის მოტრფიალეებმა ევროპის იმპერიალისტების იარაღის მხოლოდ მორიგი ჩხარა-ჩხური გაიგონეს. მათ მხოლოდ სიზმარში ნახეს, რომ ისინი რუსეთის ბატონ-პატრონები არიან. და სურათი სულ ერთიანად შეიცვალა? ყველა თავის ნამდვილ სახეს იჩენს, ყველა პატარა რესპუბლიკებს ემუქრება, ყველა ხელახლა უპირებს პატარა ერებს „ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების“ ბორკილებში ჩაჭედვას.

საბრალო და კიდევ საბრალო ნ. ჟორდანია! მას ეს ტკბილი სიზმარიც მოუწამლეს!

ინგლისის მტაცებლების სანადიროთ გამოსვლამ მასაც აღირსა ტკბილი სიზმარი. მანაც ნახა, რომ „ქვეყნად ჩამოსულიყვნენ: ნინო, ქეთევან და თვით თამარი“. ნახა თავისი „სავარდო და საბაღო“ საქართველო. მოეჩვენა თავისი ძველი მდგომარეობა: ჯარი, გვარდია, მთავრობის თავმჯდომარეობა...

ძაგრამ, ვაი, რომ სიზმარიც მოუწამლეს საზიზღარმა კომშარებმა. არც სიზმრათ დატკბობა აცალეს მილიუკოვ-აბრამოვიჩებმა. ჟორდანიას ყოველ ჭურჭუტანიდან ესმის მათი საშინელი ხმა:

ვერ მოგართვით საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველო რუსეთის წილხდომილია, ის რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილია, მისი მხოლოდ ორი პატარა გუბერნიაა. რას გვიქვია ქართველი ერის სუვერენული უფლებები, საქართველოს დამოუკიდებლობა! საქართველოსა და საერთოდ პატარა ერების დამოუკიდებელი რეს-

პუბლიკების შექმნა, ეს მხოლოდ კომუნისტების მოჩმახული საქმეაო.

და ნ. ჟორდანია განსვენებულ ლუარსაბსავით წუწუნებს ძილში.

„რა დაგიშავეთ? რით გაწყენინეთ ცას და დედამიწას? ჩვენ ხომ არ გვინდა წაგართვათ თქვენი მიწა-წყალი, ხალხი, სიმდიდრე!“

საცოდავი „ბრძოლისა“ და „დამოუკიდებელი საქართველოს“ პოლიტიკური ბალღები! ხალხისა და ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ჩემულობენ და დღემდე ისიც ვერ გაუგიათ, რომ „სამართლიანობის გრძნობა“ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს,—და რუსი მილიუკოვ-აბრამოვიჩ-ჩერნოვებიც ხომ ასეთები არიან!—მხოლოდ მათსავით პოლიტიკური ბალღების თავშესაქცევად აქვთ და არა დაჩაგრული ერების ინტერესების დასაცავად.

ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ ნ. ჟორდანია და მისი „მთავრობა“ დღეს გამოუვალ ჩიხშია მომწყვდეული. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ნ. ჟორდანია საითაც გაიქცა, იქეთ წაიქცა, რომ მისთვის ყველა გზები დახშულია.

რა უნდა ქმნას მან ასეთ მდგომარეობაში?

მას მხოლოდ ერთად-ერთი გზა დარჩენია. ეს არის საბჭოთა წყობილების მიღება, კომუნისტური სახარების წინ დაჩოქება.

რატომ?

იმიტომ, რომ „კომუნისტური სახარება“ მთელ დედამიწის ზურგზე ერთად-ერთია, რომელიც ყველა ჩაგრულ ერებს და კერძოთ საქართველოს ანიჭებს ყოველივე იმას, რის გაკეთებასაც ნ. ჟორდანია ამაოდ ცდილობს. „კომუნისტური სახარება“ საქართველოსა და ქართველ ერს ანიჭებს სრულ ეკონომიურს, კულტურულსა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას; იცავს მის ეროვნულსა და კულტურულ მეობას, ხდის მას საბჭოთა დიდი ოჯახის სრულ უფლებიან წევრად. იცავს მას შინაგანი და გარეშე მტრებისაგან.

ლოღიკას თავისი გარდაუვალი კანონი აქვს. და თუ ჩვენ, სუსტი ადამიენები, პარტიული თუ სხვაგვარი გატაცების დროს ხშირად გადავცდებით ხოლმე ლოღიკის კანონს, ისტორია თავის ლოღიკურ გზას არასოდეს არ გადასცდება.

აი ეს ისტორიული ლოღიკის გარდაუვალი კანონი მალე, სულ მალე აიძულებს ნ. ჟორდანიას თავისი საკუთარი ხელით წაშალოს იგი, რაც მას ოდესმე კომუნისტების წინაალმდეგ უთქვამს ან დაუწერია და გულწრფელად მიიღოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია.

**ყარიბი.**

# ფაშისტებთან თუ კომუნისტებთან?

თუ კაცი დარწმუნებულია ამა თუ იმ დებულების სისწორეში და სჯერა, რომ მისი მიზანი სწორია, მაშინ ლაჩარიც კი გმირად იქცევა.

თუ გულწრფელად არ გწამს იმ გზის სისწორე, რომელიც სიცოცხლის საგნად აგირჩევია, მაშინ წარმოუდგენელია წინსვლა დასახული მიზნის სამსახური.

რწმენა აგულადებს და აფოლადებს ადამიანს.

საზოგადოების ნაწილში ყოფ. მენშევიკ: ა„ხალგზელები“-ს ირგვლივ ტრიალებს სხვადასხვა აზრი.

არალეგალური მომუშავეები და მათი ხელმძღვანელი ემიგრაციის ბელადები, გვახასიათებენ, როგორც მოსყიდულებს, გამცემლებს და მოღალატეებს. არიან მეორე ხარისხის, ჩვენში კარგად ცნობილი ადამიანები, რომლებიც ჩუმად, თავისთვის გულში ამბობენ: „ძალა ღმართს ხნავს“. მეტი გზა არ ქონდათო...

მართლაც საქმე, რომ ასე მარტივი იყოს და „ახალგზელები“ მოსყიდული და დაშინებული იყვნენ—მაშინ ასეთ მკვდრების წინაალმდეგ ბრძოლას არავითარი აზრი არ ექნებოდა ემიგრაციის ბელადების თვალში. მკვდარს სამძიმარი უნდა გადუხადო, ხოლო მოსყიდულებს შაეფურთხო და საქმე ამით გათავდება.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ აქ მოსყიდვას და დაშინებას არა აქვს ადგილი. ყოფილ მენშევიკთა; „ახალ გზაზე“ დგომა, შედეგია მათ მიერ პოლიტიკური ანალიზის და მომენტის შეფასებისა.

ამას თავისთვის, ჩუმად, გულში კარგად გრძნობს ალპიის მთებზე ამაყად გადმომდგარნი—„ნაპოლეონის ბოხით“—ქროთული ემიგრციის გმირები, რომლებიც: „ბრძოლის“, ფურცლებში გვებრძვიან, მაგრამ რაკი: „საშუალება ამართლებს მიზანს“,—ჩვენს წინაალმდეგ ბინძურ დემაგოგიას მიმართავენ და ამით სურთ ხალხის თვალში „ახალგზელების“ პრესტიჟი დასცენ.,

ნათქვამია: „ღმერთი კაცს, როდესაც გაუწყრება, პირველად გონებას წაართმევსო“,—ეს ასეც არის. ემიგრაციის ბელადების ბინძურ დემაგოგიას არავინ გაიზიარებს, იმისათვის, რომ მათ მიერ ათვალწუნებულ ახალგზელებს ხალხი მათზე უკეთ იცნობს, როდესაც საქმე 10 ათასეულ მუშასა და გლეხეობასთან აქვთ, რომლებმაც დაგმეს მენშევიზმი და გულწრფელად დაადგენ საბჭოთა პლატფორმაზე—რა შუაშია ამ დროს, აქ მოსყიდვა, ან დაშინება. განა იგივე ახალგზელები არ იდგენ 1905 წელსა და შემდეგ საჭიროების დროს იარაღით ხელში ბარიკადებზე? მეფის მთავრობის ბოლშევიკებზე ნაკლები ოქრო ჰქონდა მათ მოსასყიდათ?.. მეტსაც ვიტყვი: 1924 წ. აგვისტოს ტრაღედიაში თქვენ მიერ შეცდომაში შეყვანილი დღევანდელი ახალგზელები და მათ შორის ამ წერილის ავტორმაც, სამწუხაროდ, მივიღეთ მონაწილეობა. სამშვიდობოდან თქვენი: „გმირული“ მოწოდების მონაწილენი გავხდით და ჩვენს ზურგზე გადაიარა მთელმა სიმწვავემ. ეს იცის ქვეყანამ და ამიტომ, დემაგოგიის ფონში ვერ გახვალთ.

ისტორიაში ბევრია მაგალითი სარდლის მიერ ჯარის დაბნევის—ხოლო ჯარისკაცისაგან სარდლის მარცხის გამოსწორებისა.

ასე დაგვემართა ჩვენც. მენშევიკური პარტიის ბელადებმა პარტია ხრამში გადაჩეხეთ, ხოლო თქვენ მიერ ათვალწუნებულმა ახალგზელებმა ხელი მიჰყვეს საქმის გამოსწორებას, უარჰყვეს გამანადგურებელი ძველი გზა და ახალ გზაზე მოუწოდებს ყველას ჭკუათმყოფელ მოქალაქეებს.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ აჭრელებული დემოკრატია განიცდის კრიზისს მსოფლიოში. დემოკრატიის კრიზისის შესახებ „ბრძოლს“ № 21 ნ. ჟორდანია სამართლიანად სწერს: „დემოკრატიის ბურჟუაზიის ნაწილმა დაიჩოქა ფაშიზმის წინაშე, ხოლო მუშათა ნაწილმა ბოლშევიზმის წინაშეო“.

ეს ასეა, ჩვენ, ახალ გზელებმა, ფაშიზმის შეურიგებელ ბანაკში ამოვყავით თავი, თქვენი ანალიზით ესენი თურმე მოსყიდულებია. დროა გალიზიანებული გრძნობა დაამშვიდოთ და დაემორჩილოთ გონებას და ის მიგიყვანთ იმ დასკვნამდე, რომ საქ. სოც. დემ. პარტიას (თუ არსებობს) არ შეუძლია გადაჭრა მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებისა, ის უნდა დაემორჩილოს ისტორიის უცვლელ კანონებს. რევოლიუციასთან ან წინაალმდეგ. საშუალო ხაზი არ არსებობს. ან ფაშისტებთან ერთად, ან კომუნისტების ბანაკში სოციალიზმის დროშის ქვეშ.

თუ სოციალისტურ სინდისს არ ღალატობთ, აუცილებელია ოქტომბრის რევოლიუციასთან უნდა გამონახოთ საერთო ენა. სხვა გზა ძალიან დაშორებულია სოციალიზმს. კიდევ მეტი: ქართველ ერს უქადის ფიზიკურ განადგურებას.

მართალია 1924 წ. აგვისტოს მგზავსად ერის გონიერი ნაწილი არ წამოეგება თქვენ მიერ დადგმულ ანკესზე, მაგრამ არიან კიდევ გულუბრყვილონი, რომლებიც ებმიან თქვენ მიერ დაგებულ ქსელში. ნუ იტყუებთ თავს, ნუ ატყუებთ სხვებსაც. სჯობია აკრიფოთ თქვენ მიერ დაგებული ქსელი. თორემ საბოლოოდ ისტორიის წინაშე იქნებით პასუხისმგებელი.

**ბარნაბა ძველაია.**

# ქართველ ემიგრაციაში

ჩვენ მივიღეთ, ემიგრაციაში მყოფი ქართველი ფაშისტების ორგანო **„თეთრი გიორგი"**-ს მეექვსე ნომერი, საშუალება გვეძლევა გავაცნოთ „ახალი გზის" მკითხველებს, თუ როგორ გამოეხმაურა ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილებს ქართველი ემიგრაციის ეს ჯგუფი.

მკითხველს ეხსომება, რომ რამიშვილი თავის სადირექტივო წერილები არ ზოგავდა შავ საღებავებს ემიგრაციაში მყოფი ნაც.-დემოკრატებისა და განსაკუთრებით ფაშისტებისათვის და გარკვეულ, წმინდა პრაქტიკულ დირექტივებს აძლევდა თავის ემისარს, მათ წინააღმდეგ აქ, საქართველოში სამოქმედოთ. როგორც ვიცით, კედიას ჯგუფმა უკვე გადადგა ნაბიჯი რამიშვილისა და „საერთო ფრონტის" წინააღმდეგ, რასაც მოქ. რამიშვილის ხელით შეურაცყოფა მოყვა შედეგად. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვაქვს კედიას ჯგუფის ასეთი გამოსვლის აღწერა. ამ „გამოსვლის" შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ „დამოუკიდებელ საქართველოში" გიორგი გვაზავა კედიას უსაყვედურებს:—საქართველოს ინტერესები ვერ გაიგო და თავისი გამოსვლით „საერთო ფრონტს" ლახვარი ჩასცაო.

„თეთრი გიორგი"-ს ჯგუფი კი დასახელებულ ნომრის მთელ სამ გვერდს უთმობს ნ. რამიშვილის სადირექტივო წერილს და „საერთო ფრონტის" მდგომარეობას. გაზეთი შემდეგ წინადადებას აძლევს ჟორდანიას „მთავრობას".

„თ. გ." აქამდე სახალხოთ არ გამოეხმაურა ბ. რამიშვილის ცნობილ წერილს, იმ იმედით, რომ მთავრობა თვით მიიღებდა ზომებს თავისივე წევრის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების დასასჯელად. გავიდა ერთი თვე და მთავრობა სდუმს. თუ ეს დუმილი გაგრძელდა, ჩვენ უფლება გვეძლევა ვიფიქროთ, რომ მთავრობა ხელს აფარებს ბ. რამიშვილის მუხანათობას და ეს წერილი ნაკარნახევია თვით მთავრობის მიერ, მით უმეტეს, რომ ახლად გამოქვეყნებული თვით მთავრობის თავმჯდომარის წერილი სრული კონფორმაციაა ბ. რამიშვილის მუხანათობისა და საშინელ ჩირქსა სცხებს იმ თანამდებობას, რომელსაც ის ატარებს.

„თეთრი გიორგის" ორგანიზაცია აღნიშნავს მუხლობრივ რამიშვილის ბოროტმოქმედებას:

1. საერთო ფრონტის ხელშეკრულებისადმი ღალატს.

2. ფიქტიურ ორგანიზაციის მოწყობას სასურველ პირთა ზურგის გასამაგრებლად.

3. საქართველოში სამოქალაქო ომის მომზადებას.

4. მომავალ საქართველოში კლასობრივ დიქტატურის სურვილს, რის განხორციელება და განმტკიცება შეიძლება მხოლოდ ტერორის საშუალებით.

5. საუკეთესო მამულიშვილთა უსაზიზღრეს ცილის წამებას.

ასეთ ბრალდებას უყენებენ „თეთრგიორგელები" მოქ. ნ. რამიშვილს.

სასჯელს კი ასეთს მოითხოვენ:

1. დაუყონებლივ იყოს მთავრობიდან გადაყენებული ბ. ნ. რამიშვილი და საბოლოოდ ჩამოშორებული საერთო ფრონტის ყოველგვარ საქმიანობას. 2. გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში" და „ბრძოლაში" დაბეჭდილი იყოს მთავრობისა და საერთო ფრონტის სახელით რამიშვილის გაკიცხვა.

3. დაუყონებლივ მოხდეს საერთო ფრონტის რეორგანიზაცია, რომელიც მოსპობს დამღუპველი პარტიის დიქტატურას და დაამყარებს ეროვნულ ძალთა ჭეშმარიტ თანამშრომლობას თანასწორობის ნიადაგზე. ამ მიზნისთვის დაუყონებლივ შესდგეს კომისია ყველა ქართველ პარტიათა და პოლიტიკურ ჯგუფთა წარმომადგენლების და ცნობილ საზოგადო მოღვაწეთაგან.

ჟორდანია და საერთოთ მისი საშავორშაბათო ყეენები ჯერ სდუმან. ისინი, ეტყობა, არ იმეტებენ ნ. რამიშვილს. თვით ეს უკანასკნელი კი გამოეხმაურა ქართველ ფაშისტების განცხადებას. ეტყობა, ამ უტიფარი და უტეხი ადამიანზეც მოუხდენია გავლენა ფიზიკურ ძალას და ის გულის კანკალით სთხოვს ცოდვების მიტოვებას იმავე ფაშისტებს.

„თეთრი გიორის" იმავე ნომერში ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ ამის შესახებ:

„საქართველოს მთავრობის წევრებმა გეგეჭკორმა და კანდელაკმა გადასცეს ბ. ლ. კერესელიძეს ბ. რამიშვილის განცხადება, რომ მის მიერ საქართველოში მიწერილ ცნობილ წერილში შეცდა კერესელიძის შესახებ და არის მზად მის წინაშე ბოდიში მოიხადოს".

ამით ფაშისტბი არ დაკმაყოფილებულან: ისინი ასეთივე ბოდიშის მოხდას მოითხოვენ რამიშვილისაგან ყველა სხვა „საუკეთესო" მამულიშვილების წინაშეც. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ფიზიკური ძალით იმუქრებიან.

საერთოდ ქართველი ფაშისტები, ეტყობა, იარაღის ხმარებასაც არ დაერიდებიან. ისინი „კატეგორიულად უკომპრომისოდ მოითხოვენ საერთო ფრონტის დაუყონებლივ რეორგანიზაციას". წინააღმდეგ შემთხვევაში, აცხადებენ, რომ „ამ მოთხოვნილებას მხოლოდ გაზეთში წერილებით არ განვსაზღვრავთ, არამედ ეროვნული მიზნის მისაღწევად **მივიღებთ საჭირო პრაქტიკულ ზომებსო.**

როგორც ვიცით, ნაც.-დემოკრატების ერთმა ჯგუფმა უკვე სცემა ნ. რამიშვილს, ახლა, ეტყობა; რიგი „თეთრგიორგიელების" ჯგუფზეა.

ჟორდანია-რამიშვილის სადირექტივო წერილების გამო, ემიგრაციის ორგანოები ველისში ახმაურდენ. აქ გამონაკლის შეადგენს მხოლოდ „დამოუკიდებელი საქართველო". ჩვენ ხელთა გვაქვს ამ გაზეთის დასახელებულ თვის ნომერი, მაგრამ შიგ სულაც არაფერია ამ პროვოკაციის შესახებ. პირიქით, აქ ჩვენ ვხედავთ ნ. რამიშვილის წერილს სათაურით: „ძალა თუ უძლურება", რომელშიც ის ჩვეულებრივის უტიფრობით, თითქოს თავზე ბუზიც არ გადაფრენოდეს, განაგრძობს ანდუყაფარის ლექსს კომუნისტური ხელისუფლების აუცილებელი მოსპობის შესახებ.

ასეთი განწყობილება სუფევს დღეს ქართველ ემიგრაციაში.

ჩვენ აქ მხოლოდ არ გვესმის ეგრედწოდებული მენშევიკური „ოპოზიციის" ხმა, ჩვენ არ გვესმის ირაკლი წერეთლის, გიორგი ერაძის და მათი ჯგუფის ხმა. ისინი სდუმან და მით ადასტურებენ ჟორდანია-რამიშვილის პროვოკაციას.

„ოპოზიციონერებო"! თქვით თქვენი სიტყვა. ამას მოითხოვს თქვენგან ქართველი პროლეტარიატი, ქართველი გლეხები, მთლად ქართველი ერი!

ნუ სდუმხართ. თქვით. ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა იცოდეს თუ ვინ არის მასთან და ვინ არის მის წინააღმდეგ. ის დღეს უკანასკნელად ახდენს ქართველ ემიგრაციის რიგების გადათვალიერებას. ის დღეს კიდევ მოგიწოდებთ ყველას თავის რიგებში. გამოერკვიეთ და გამოარკვიეთ თქვენი დამოკიდებულება მშობელ ქვეყანასთან, მის მშრომელ მასებთან.

თქვით: ვისთან ხართ? სადა ხართ და რომელსა მხარესა? ვის უზიხართ მახლობლად, ვის უშტერებთ თვალებსა?

# რა სურს ემიგრაციას

## I.

## ჯანყის იდეოლოგია

ოქტომბრის აქტიურ მოწინააღმდეგეთ, თავიდან ერთი სენი დასჩემდათ. მათი გონება შეიპყრო აკვიატებულმა აზრმა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება უდღეურია, ის დაეცემა ორ სამ კვირაში, დიდი ორ სამ თვეში. საბჭოთა ხელისუფლება თავს ვერ გაართმევს ქვეყნის საგარეო და საშინაო რთულ მდგომარეობას. ის მიჩნეული იყო ისტორიის „იალლიშად“ და გიგანტიურ ნახტომათ... უფსკრულში! ისტორიული სეირის მოლოდინში მოწინააღმდეგე ჩუმად ხითხითებდა და ნიშნის მოთქმით ამბობდა „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

ის დღე-დღეზე მოელოდა ახალი ძალის გამოსვლას, რომელიც ელვის სისწრაფით ბოლოს მოუღებდა „ახირებულ ფანატიკოსთა“ მთელს ამ „უგუნერებას“ და ყველას თავისას მიუზღავდა:

ხელისუფლებას—დემოკრატიას,
ფაბრიკა-ქარხნებს—კაპიტალისტებს,
ჯარს—ომის გაგრძელებას,
მუშებსა და გლეხებს—ეკონომიურ და პოლიტიკურ დიეტას!...

როგორც სწრაფად მოვიდა, ისე სწრაფად წავაო, ფიქრობდა მოქალაქე, აღზრდილი ძველი პოლიტიკური რომანტიზმის ტრადიციებზე.

ასეთ ფსიქოლოგიურ ნიადაგზე აღმოცენდა ის ბრძოლა, რომელმაც ესოდენი მსხვერპლი შეიწირა და საბჭოთა ხელისუფლების მტერთ სრულიად უქმად ჩაუარა.

რომ 1917—1918 წლებში გაეთვალისწინებიათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება იარსებებდა არამც თუ ათი წლიწადი, 4—5 წლიწადი მაინც, თამამად შეიძლება ითქვას, მრავალი მებრძოლი საბოტაჟს, შეთქმულებასა და იარაღს ხელს არ მოჰკიდებდა და საბჭოთა კავშირის ვითარება ბევრ რამეში სულ სხვა სახესა და მიმართულებას მიიღებდა.

მტრებმა ვერ გაითვალისწინეს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური მოქნილობა, მისი სამანევრო ალღო და რეალობის უდიდესი ყნოსვა, რომელიც ახასიათებდა მას მიუხედავათ უკიდურესი მემარცხენე პროგრამისა, მათ ვერ გაითვალისწინეს ის პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი, რომელიც ღრნიდა ბურჟუაზიულ სამყაროს.

ოქტომბრის შეფასება ძველი თეორიებისა და ტაქტიკური შაბლონის მიხედვით ვერ გამოდგა სწორი და მიზანშეწონილი. ერთად-ერთი „შემამსუბუქებელი გარემოება“, რომელიც ანტი საბჭოთა ძალების სასარგებლოდ შეიძლება იქნეს მოყვანილი, გახლავთ ის, რომ მდგომარეობა იყო მეტად სერიოზული, მეტად რთული, **ამბავი ახალი და უჩვეულო.** მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ იმ ძალებზე, რომლებიც იბრძოდენ საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე.

საქართველოს მდგომარეობა ამ მხრივ გაცილებით უკეთესი იყო. მას თვალწინ ჰქონდა სამი წლის უდიდესი გაკვეთილი, იშვიათი ისტორიული გამოცდილება. ნაკარნახევი რუსეთის სამოქალაქო ომის მსვლელობითა და შედეგებით. მიუხედავათ ამისა საქართველომ მის მთავარ ხელმძღვანელ პოლიტიკურ მიმდინარეობათა სახით გაიმეორა. რუსეთში უკვე სასტიკად დამარცხებული ანტი-საბჭოთა ტაქტიკის რუსული შაბლონი. ამაშია მთავარი შეცდომა იმ ბრძოლისა, რომელიც ჩვენში დაიწყო ჯერ კიდევ 1921 წელს და რომელსაც აგრძელებს დღეს უცხოეთში გახიზნული ემიგრაცია.

რა სურს მას, როგორია მისი პერსპექტივები?

ის დღესაც იმეორებს იმ დებულებას, რომელსაც რუსეთში კონტრ-რევოლიუცია ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებში აყენებდა: საბჭოთა ხელისუფლება დღეს თუ ხვალ დაეცემაო. თავის დროზე ასეთ სულისკვეთებას ჩვენ დავარქვით „მიდიან-მოდიან“-ის პოლიტიკა.

მას შემდეგ გავიდა ხუთი წელიწადი და ხსენებული თეზისის მხოლოდ მეორე ნახევარი გამართლდა ისიც მეტად ორიგინალური შინაარსით. **არავინ მიდის, ბევრი კი მოდის** ემიგრაციის ტაქტიკითა და საქმიანობით სავსებით გულგაცრუებული, შემდგარი სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე, მოდის, როგორც საბჭოთა ხელისუფლების კეთილსინდისიერი თანამშრომელი!

საბჭოთა ხელისუფლება უეჭველად დაეცემა, „ეს დამხობა იქნება უეცარი, მოულოდნელი“ (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“ № 17).

რას ეყრდნობა ასეთი დასკვნა? მისი უმთავრესი საფუძველი არის ერთი დაურღვეველი, მაგრამ ამ შემთხვევაში მეტად ახირებული დებულება. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ დემოკრატებმა წამოაყენა დებულება: ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლებაო. მუდმივი და უცვლელი დედა-მიწაზე არაფერი არ არის (გარდა დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციისა, რომელიც ასე იწყებოდა: „დემოკრატიული რესპუბლიკა არის საქართველოს მუდმივი და უცვლელი ფორმაო“!

საბჭოთა ხელისუფლება მუდამ არ იქნება, ბოლოს და ბოლოს ისიც გამოიცვლებაო. ეს დებულება მით უფრო დაურღვეველია, რომ თვით ბოლშევიზმის თეორია გვეუბნება, რომ დიქტატურა არის გარდამავალი ფორმა, რომ ბოლოს და ბოლოს კომუნისტურ საზოგადოებაში არავითარი ხელისუფლება არ იქნებაო და სხვ.

ამბობენ: აკაკი წერეთელს ერთმა ნაცნობმა შესჩივლა: —არ ვიცი რა ვქნა, ამ ბოლო ხანებში ჩემი ცოლი მეტად გაერთოვო.—„რა უშავსო,—უპასუხა ენამახვილმა პოეტმა—სამოც წლამდე აცალე და მერე თვითონ მიატოვებსო.

ნოე ჟორდანიაც ასე გვეუბნება: **„ერის ცხოვრებაში რა არის წელიწადი? საკითხი იზომება არა დროით, არამედ მისი შინაგანი ბუნებითო“.** (იხ. „რა მოხდა“, გვ. 22).

რა გვიჭირს: მოვიწვიოთ ტერაპევტები, ქიმიკოსები, მეტაფიზიკოსები და ვარკვიოთ საგანთა შინაგანი ბუნება.

დროს რა მნიშვნელობა აქვს ან რად გვინდა იგი: მას ვერ შეაჩერებ, ვერ მოაბრუნებ, ვერ დაიჭერ, ვერ დაიმორჩილებ!..

დროს რა მნიშვნელობა აქვს, რა სულწასულობაა: დღეს არ იქნება ხვალ იქნება, ხვალ არ იქნება—50 წლის მერე ხომ იქნება!

რა არის დრო? ჭეშმარიტად:

Веревка, веревке простое.

როგორ მოხდება ეს დაცემა რევოლიუციის, თუ ევოლიუციის საშუალებით?

**„ევოლიუცია სრულიად განდევნილია** (საბჭოთა სისტემიდან), **მისი შესაძლებლობა დახშულია“**, სწერს რამიშვილი (იხ. „ბრძოლის საკითხები“, გვ. 44) ახლა მოვუსმინოთ ნოე ჟორდანიას. მას ჩამოთვლილი აქვს მრავალი ცვლილება კომპარტიის ლოზუნგებსა და კანონმდებლობაში და დასძენს: „ასეთი ოპორტიუნიზმი რევოლიუციონური პარტიის ისტორიაში არ მომხდარა. **აქ, კურთხეულ რუსეთში ყველა ამ ევოლიუციას აკეთებს ერთი და იმავე პარტიაო“.** (იხ. „ბრძოლა“ № 5) სამაგიეროთ ნოე ჟორდანია და მისი პარტია აყენებს ახალს, დიდათ საინტერესო დებულებას.

„ბრძოლის“ პირველ ნომერში ჩვენ ვკითხულობთ: **„სოციალიზმს მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიზმთანო“** (ბრძოლა“ № 1).

ეს ფორმულა საუცხოვოდ გამოხატავს მეორე ინტერნაციონალის დამბლა-დაცემულს და ბურჟუაზიის შინაყმად ქცეულ სოციალიზმის სულისკვეთებას, მის რევოლიუციონურ რაობას!..

ის გარკვეულად გვეუბნება: თუ საქმე არჩევანზედ მიდგა, მე ბურჟუაზიასთან ვარ ბოლშევიზმის წინააღმდეგო.

ასე გაიხრწნა და დაეცა ის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ოდესღაც პროლეტარიატის მედროშეთ ითვლებოდა!

არც ერთი ჭეშმარიტი რევოლიუციონერი, არც ერთი პატიოსანი სოციალისტი მუშა და გლეხი ამ დებულებას არ გაიზიარებს, რაც სავსებით გამომდინარეობს თუნდაც იმავე ნ. ჟორდანიას შემდეგი სიტყვებიდან: **„ბოლშევიზმის ლოზუნგია ყველაფერი ხალხისათვის, მაგრამ არა ხალხის საშუალებითო“**. (იხ. ნ. ჟორდანია „ბოლშევიზმი“ რუსულ ენაზე, გვ. 59).

როგორ შეიძლება ისეთ მიმდინარეობას, რომლის ლოზუნგია „ყველაფერი ხალხისათვისო“—ჩვენ ბურჟუაზია ვარჩიოთ? სად არის აქ ლოღიკა მოქალაქის, სინდისი სოციალისტის?!

რა კი ბოლშევიზმთან სოციალიზმს არაფერი საერთო არა აქვს, ცხადია, მასთან შეიძლება გვქონდეს მხოლოდ ერთი ენა—ენა ბრძოლის, ტყვია-წამლის და ყუმბარების. დღის წესრიგში ისმება იარაღი.

გაზეთი „ბრძოლაც“ სწორედ ამის გამომხატველია, როგორც სახელწოდებით, ისე მთელი თავისი შინაარსით. „ბრძოლა“ (№ 1) ღაღადებს:

**ბრძოლა გრძელდება... ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო, ბრძოლა შეუპოვარი.**

**საქართველოს სოციალ-დემოკრატია დაიბადა ბრძოლაში, გაძლიერდა ბრძოლაში...**

**მას არ სჩვევია მტრის წინაშე მუხლის მოყრა, ბრძოლის ველის დატოვება**“... (ხაზი ყველგან ჩვენია).

ნ. ჟორდანია კიდევ უფრო „აღრმავებს“ საგანს, ისტორიული მაგალითებით ასაბუთებს აჯანყების აუცილებლობას და დასძენს:

**„აჯანყება ტირანიის წინააღმდეგ იყო, არის და იქნება ერთად-ერთი მცნება რევოლიუციონერებისაო“.**

ამნაირად „ჯანყის“ იდეოლოგია დასაბუთებულია, ეყვანს ნ. რამიშვილი გამოგზავნის და საქმეც ყოველთვის შეიძლება გაჩაღდეს...

**ლეო შენგელაია.**

# დამოუკიდებელი საქართველო და რუსი ემიგრანტები

„ქართველმა მენშევიკებმა კურსი აიღეს რუსეთის დანგრევაზე, დანაწილებაზე და გარეშე სახელმწიფოების ინტერვენციაზე, რადგანაც ინტერვენციისა და ომის გარეშე რუსეთის ტერიტორიის დანაწილება შეუძლებელია. ქართული, უკრაინული და სხვა ერების ნაციონალიზმი და შოვინიზმი ჯერ არნახულ სიძლიერით ანვითარებენ და ასულდგმულებენ ველიკორუსულ შოვინზმს“. (იხ. „სოც. ვესტნიკი“, № 14).

ასე ახასიათებს მოქალაქე აბრამოვიჩი და მასთან ერთად რუსი მენშევიკები თავის ქართველ ამხანაგებს.

ეს სრული სიმართლეა. ქართული სოციალ-დემოკრატია ოდესღაც შეურიგებელი მტერი ყოველგვარი შოვინიზმისა, ის სოციალ-დემოკრატია, რომელიც ათეული წლების მანძილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებდა ქართული შოვინიზმის წინააღმდეგ და რომელსაც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ახლო წარსულში დიდი ისტორიული დამსახურება მიუძღვის, დღეს საზღვარგარედ გახიზნული თვითონ აღვივებს შოვინიზმს, მას დღეს, მხოლოდ ეს ოდესღაც მის მიერ უარყოფილი საქმე გაუხდია მოქმედების პროგრამად. ოდესღაც დიდი და ძლიერი საქართველოს სოც.-დემოკრატ. პარტიის ლიდერები დღეს მხოლოდ შოვინიზმსა და ერთი ერის მეორეზე გადაკიდებასა და შუღლს სთესავენ და ამას სჩადიან საქართველოსა და ქართველი ხალხის სახელით...

მაგრამ ქართველი ხალხის საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ჟორდანია-რამიშვილს უკვე დიდი ხანია ჩამოეცალა ქართველი ხალხი, მათ დიდი ხანია რაც დაკარგეს ყოველგვარი ნდობა მშრომელი ხალხის მასებში. ამიტომაც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში არ არსებობს არავითარი შოვინიზმი, როგორც მასიური მოვლენა. შოვინიზმის დროშა დღეს მხოლოდ ქართველ ემიგრაციის ლიდერებს უპყრიათ ხელში.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელ „ველიკორუსულ შოვინიზმზე“ ლაპარაკობს ბ. აბრამოვიჩი? ასეთი შოვინიზმი მართლაც არსებობდა თვითმპყრობელობის დროს, როდესაც ველიკორუსები, ან უკეთ, რომ ვსთქვათ მათი ბურჟუაზიული ნაწილი თავის თავს გაბატონებულ ერათ აცხადებდა. რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა სხვა ერები განიცდიდენ უდიდეს ეროვნულ ჩაგვრასა და დამდაბლებას, როგორც „ინოროდცები“.

თვითმპყრობელობის დამარცხების შემდეგ, მაგალითად, კერენსკის მთავრობის დროს, ეს მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ ძირფესვიანად აღმოფხვრა ერთა შორის ასეთი უსწორ-მასწორობა და მით გამოწვეული შუღლი, ბრძოლა და სისხლისღვრა. საბჭოთა წყობილების დროს ადგილი არ აქვს ველიკორუსულ შოვინიზმს. დღეს ჩვენ გვაქვს თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი, სადაც ყველა სწორია, ყველა თანასწორი უფლებით არის აღჭურვილი; დღეს ყველა ერებს აქვთ თავისუფალი გასაქანი თავისი საკუთარი კულტურის ასაყვავებლად, თავისი იურიდიული და ეკონომიური დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ამ დებულების სიმართლეს აღიარებს თვით ნ. ჟორდანიაც. ის კომუნისტებს ეწამება მხოლოდ იმას, რომ მათ ვითომ დაჩაგრეს ქართველი ერი და სხვა ერები კი ფეხზე დააყენეს და ეროვნული კერა შეუქმნეს. აბა მოუსმინოთ თვითონ ნ. ჟორდანიას: „ბოლშევიკურმა წყობილებამ დაგვანგრია ჩვენ, ქართველები; სხვა ერებს კი ხელი შეუწყო ნაციონალურ გამოღვიძების საქმეში; თუნდაც უკრაინას, სადაც ხდება უკრაინიზაცია. თვით ბურიატებსაც კი შეუქმნა მათი ეროვნული კერა“. (იხ. „ბრძოლა“, № 23—24).

აი, რას ამბობს ამ საგანზე საბჭოთა წყობილების შეურიგებელი მტერი ნ. ჟორდანია. ის შავით თეთრზე სწერს, რომ საბჭოთა ფედერაციაში შემავალი ერები, როგორც მაღალი კულტურის მქონე უკრაინა, ისე დაბალი, თითქმის პირველყოფილი კულტურის მქონე ბურიატები, განიცდიან ეროვნული განვითარებისა და წიმსვლელობის პროცესსო.

მხოლოდ, თუ ავტორს დაუჯერებთ, თურმე ქართველი ხალხი წარმოადგენს გამონაკლისს საბჭოთა კავშირში. მაგრამ აქ ნ. ჟორდანიას მსჯელობა ცალმხრივი და თანაც ლოღიკის ნატამალს მოკლებულია. თუ ყველა ერები საბჭოთა კავშირისა წარმატების და აყვავების გზაზეა შემდგარი, თუ საბჭოთა ხელისუფლება ყველა ერებს უქმნის ხელსაყრელ პირობებს ნაციონალურად განვითარებისათვის, საქართველომ რაღა დააშავა, რომ იმისათვის ასეთი გამონაკლისი დაუშვან? რატომ უნდა დანგრიოს და გაანადგუროს იგი საბჭოთა ხელისუფლებამ?

მაგრამ ჟორდანიას წუწუნი ჩვენ სხვანაირად უნდა გავიგოთ. მას ალბად ის მიაჩნია მთელი საქართველოსა და ხალხის დანგრევათ, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ მართლაც ცუდი დღე დააყენა ქართველ მსხვილ ვაჭრებსა და სპეკულიანტებს, ქართველ თავად-აზნაურობასა და ხალხის მატყუარა სამღვდელოებას, მაშინ ის მართალი იქნება. ქართველი ხალხის დასახელებულმა ნაწილმა მართლაც ბევრი დაკარგეს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ისინი მართლაც დანგრეული და მოსპობილია. რაც შეეხება ქართველი ხალხის სასიცოცხლო ნაწილს, მშრომელ გლეხობასა და მუშებს, ქართველ ინტელიგენციას ქართული მწერლობისა და მეცნიერების წარმომადგენლებს, ყველა ესენი თვითონ საქვეყნოთ აღიარებენ, რომ მათ არასოდეს არ ჰქონებიათ იმდენი გასაქანი თავისი ქვეყნის როგორც ეროვნულად და კულტურუ-

ლად, ისე ეკონომიურად და პოლიტიკურად აღორძინებისათვის.

ქართველი ხალხის ყველა ამ ფენებმა არა ერთხელ გამოსთქვეს თავისი თავისუფალი აზრი, თავისი ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობაზე. მათ არა ერთხელ მოახსენეს მოქალაქე ჟორდანიას, რომ ის ტყუილა ღვრის ნიანგის ცრემლებს, ტყუილა იწუხებს თავს და რომ საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისეთ ხელსაყრელ პირობებში, როგორშიაც ის დღეს კომუნისტური ხელისუფლების დროს არის.

ჩვენ კი დავუბრუნდეთ მოქ. აბრამოვიჩის წერილს, რომელშიაც ჩვენ ვკითხულობთ ქართველი მენშევიკების „სოციალისტური მოღვაწეობის“ ასეთ დაფასებას:

„საქართველოს სოც.-დემოკრატ. პარტია 1917 წელს ფაქტიურად და ფორმალურადაც სწყვეტს კავშირს რუსეთის სოც.-დემოკრატიასთან. ჩვენ, რუსი სოციალ-დემოკრატები, ძალიან ხშირად, არ ვიყავით თანახმა მათი მოღვაწეობის, მაგალითად როგორც რუსეთიდან გამოყოფის საკითხში, ისე იმ მუშაობაში, რომელსაც ქართველი მენშევიკები ასრულებდენ დამოუკიდებლობის დროს“-ო.

ერთი ვიკითხოთ, რა საკითხში არ ეთანხმებოდენ რუსის მენშევიკები თავის ქართველ ამხანაგებს? ჩვენ, საქართველოს დემოკრატიული წყობილების დროს, მენშევიკური პარტიის გეგემონიის ხანაში, კანტი-კუნტად ვიცოდით, რომ რუსის მენშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისა და მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებისა. ის საპროგრამო ფორმულა სოც.-დემოკრატ. პარტიისა, რომელიც აღიარებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, ერის თავისუფლებას, მენშევიკური პარტიის მიერ გაგებული იყო ეროვნულ ავტონომიათ უმთავრესად ერის კულტურულ სფეროში; რაც შეეხება ერის ნაციონალურ, პოლიტიკურ-ეკონომიურსა და სახელმწიფოებრივ გამორკვევას და სახელმწიფოებრივად გამოყოფას, რუსი მენშევიკები არ სცნობდენ და არ უჭერდენ მხარს ასეთ გამოყოფას.

ქართველი მენშევიკური პარტია, სანამ რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესწყობილება არსებობდა კერენსკის, ჩერნოვის, ჩხეიძისა და წერეთლის მეთაურობით, წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთიდან საქართველოს გამოყოფისა. ისინი იცავდენ ერთ მთლიანსა და განუყოფელ რუსეთს. გაიხსენეთ აკაკი ჩხენკელის განცხადება 1917 წ. დემოკრატიულ თათბირზე, სადაც ის ენერგიულად იცავდა მთლიან, დემოკრატიულ რუსეთს და სეპარატიზმსა და შოვინიზმს უსაყვედურებდა პოლონელებს, ფინებს, უკრაინელებს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთიდან გამოყოფის მომხრეთ გამოდიოდენ.

მოქალაქე აბრამოვიჩი სამართლიანად იხსენებს თავის წერილში ამ ფაქტს და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ეხლა მისმა ქართველმა ამხანაგებმა დაივიწყეს ეს გარემოება და ჩაეფლენ შოვინიზმის ჭაობში.

ქართველმა მენშევიზმმა მართლაც ერთგვარი „ჟესტი“ გააკეთა დემოკრატიულ თათბირზე. მან ჩხენკელის პირით ამცნო ქვეყანას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია მთლიანი რუსეთის პატრიოტია, რომ ის ებრძვის რუსეთის დანაწილების ტენდენციას, რომ ის არც დაუშვებს რევოლიუციონური რუსეთის დაქუცმაცებას, რადგან ამით რევოლიუციონურ რუსეთს ხიფათი მოელისო. ასე ლაპარაკობდა ჩხენკელი 1917 წელს, მაგრამ მან და საერთოდ მენშევიკებმა მალე შეიცვალეს კილო.

იმ გარემოებამ, რომ დემოკრატიული პარტიები ბოლშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდენ და კერენშჩინის ნანგრევებზე აღიმართა საბჭოთა სახელმწიფოებრივი სისტემა და განმტკიცდა პროლეტარიატის დიქტატურა, და რომ მენშევიკებისა და ესერების სათაყვანო ბურჟუაზიული დემოკრატია განადგურებულ იქნა,—ქართველ მენშევიზმს პირი აბრუნებია კავკასიის რუსეთიდან გამოყოფისაკენ და მისი ინტერნაციონალური დროშა ნაციონალური დროშით შესცვალა.

ეროვნული, ერთი მთლიანი ფრონტი—აი, ის ნიადაგი, რომელზედაც შესდგა ქართული მენშევიზმი ორივე ფეხებით. და იმდენად, რამდენადაც ის საერთო ნიადაგს ეძებდა შიგ, საქართველოს მაშინდელ მომქმედ პარტიებში, მას თანდათან უნდა შეეთვისებია კომპრომისული მეთოდი და უნდა გათქვეფილიყო წვრილბურჟუაზიულ პარტიებში.

მეტი არ იქნება აქვე მოვიგონოთ ზოგიერთი ფაქტები რუსი მენშევიკების საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების საკითხთან დამოკიდებულებაში.

ალ. ხელაძე.

(დასასრული იქნება)

# პოლიტიკური მიმოხილვა

## ჟენევის სალაყბოს დახურვა

სამი კვირის უშედეგო ლაყბობის შემდეგ, დაიხურა ერთა ლიგის სესია. სამი კვირის მძიმე დიპლომატიური „მუშაობით, დაღლილი“ ხალხთა „წარმომადგენლები“ დროებით დაემშვიდობენ შვეიცარიის სატახტო ქალაქს, რაც, ალბად, მწუხარებას გამოიწვევს მხოლოდ სასტუმროების მეპატრონეებში, რომლებიც დიდ სარგებლობას ნახულობენ მათ დიპლომატიურ „ბაზრობისაგან“.

ძველი გამოცდილებით, არ იყო ძნელი გასათვალისწინებელი, თუ რა შედეგი ექნებოდა სესიის მუშაობას, რომ ის ეხლაც ისე დასრულდებოდა, როგორც ყოველთვის, რომ სესიის მუშაობის შემდეგ, კიდევ უფრო გართულდებოდა მონაწილე სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი, უფრო გაიზრდებოდა მათი საომარი განწყობილება.

იმ დაწესებულებას, რომელიც ეყრდნობა ვერსალის ზავის ომის პრინციპებზე და სადაც გაბატონებული არიან ომში გამარჯვებული ძლიერი კაპიტალისტური სახემწიფოები ახალი იმპერიალისტური გეგმების განსახორციელებლად, რა თქმა უნდა, არ შეუძლია უშიშროების და მშვიდობიანობის დაცვის საკითხების გადაწყვეტა, რომლისთვისაც უნდა იყოს ის მოწოდებული, და რაც ასე ძლიერ აწუხებს კაცობრიობას. ამ საკითხების გადაწყვეტა ერთა ლიგას არ შეეძლება მანამდე, სანამ ამ დაწესებულებას განაგებენ რეაქციონერი დიპლომატები, სანამ მის ქირისუფლებათ იქნებიან ჩემბერლენ-ბრიან-ბენშები.

ბურჟუაზიული დიპლომატიის კომბინაციებმა ეხლანდელ სესიაზე ერთხელ კიდევ დაადასტურეს ამ „პატივცემული“ დაწესებულების სრული გაკოტრება.

სესიის მუშაობის მთელი სიმძიმე მიმართული იყო მხოლოდ იმისაკენ, რომ როგორმე მოეხერხებიათ კაპიტ. სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობათა შესუსტება და ბრძოლის ცენტრის საბჭოთა კავშირის და რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ გადატანა. მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, ვერ შესძლეს ამ წინააღმდეგობათა დაძლევა და მთლიანი ფრონტის შექმნა.

ეხლანდელმა სესიამ ერთხელ კიდევ გამოაშკარავა, რომ ევროპის კონტინენტზე პირველობისათვის ერთმანეთს ებრძვის ორი გამარჯვებული ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფო—ინგლისი და საფრანგეთი. თვითეული მათგანი ცდილობს, რომ ის გახდეს ევროპის პოლიტიკის ხელმძღვანელი, ხოლო ამისათვის თავისი გავლენის ქვეშ დააყენოს მცირე სახელმწიფოები. ის კომპრომისული დადგენილებები, რომლებიც მათ მიიღეს „უშიშროების“ და „განიარაღების“ საკითხებში, იმის მაჩვენებელია, რომ ეს ბრძოლა ისევ სწარმოებს, ძალთა დაჯგუფება კიდევ არ არის დასრულებული და ვერც ერთი მათგანი ვერ გამხდარა ევროპის პოლიტიკის ბატონ-პატრონი.

ამ მდგომარეობით თითქოს სარგებლობენ ვასალური სახელმწიფოებიც და ამ ორ კოალიციათა შორის ორიენტაციის აღებაში არჩევანში შედიან იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი უფრო მეტს მისცემს მათ. მხოლოდ ამით აიხსნება მათი ხშირი გადასვლა ერთი კოალიციიდან

მეორეში; მხოლოდ ამით აიხსნება, რომ საფრანგეთი, რომელიც დამარცხდა უშიშროების საერთო გარანტიის პაქტის დადების საკითხში პოლონეთთან ერთად, გამარჯვებული გამოვიდა რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტის რუმინეთის სასარგებლოდ გადაწყვეტაში.

სესიამ ვერ მოახერხა ვერც ერთი მთავარი კითხვის გადაწყვეტა. ამას აღიარებს ევროპის ბურჟუაზიული პრესაც, რომელიც ამბობს: „ერთა ლიგის მესამე კომისიის მიერ მიღებული პაციფისტური ფორმულა „განიარაღების“ და „უშიშროების“ საკითხებში—არის დიპლომატიური კომბინაცია მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა დასაფარავად. ეს კომბინაცია აერთიანებს გოლანდია-ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის შეუთანხმებელ ინტერესებს“.

ამ შეფასებაში ჩვენც ვეთანხმებით მათ, მაგრამ უნდა დაუმატოთ, რომ ეს „ქაღალდის ჯაჭვი“ უსათუოდ გაწყდება პირველ შეხებისთანავე.

გერმანიის რეაქციონური პრესაც ძლიერ უკმაყოფილოა სესიის მუშაობით. „რეინიშე ვესტფალიშე“ შეშინებული კილოთი აცხადებს: „მესამე კომისიის მიერ მიღებული რეზოლიუცია მძიმე შედეგებს გამოიწვევს, რადგანაც ეს ნიშნავს საფრანგეთ-პოლონეთ-ჩეხო-სლოვაკიის კავშირს გერმანიის წინააღმდეგ, პოლონეთ-რუმინეთის შეკავშირებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ანტანტის გაძლიერებას უნგრეთის წინააღმდეგ. ეს არის სისტემა ომის მომზადების“-ო.

ამის შემდეგ მაინც, უნდა დარწმუნდეს ყველა, რომ თვით ერთა ლიგა არის ობიექტი სწორედ ამ სისტემის, რომ ამ დაწესებულებაში იქმნება ომის საფრთხე, რომ მისი საშუალებით მზადდება ახალი სისხლის ღვრა.

## რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტი

ერთა ლიგის სესიაზე, დიდი დავა გამოიწვია რუმინეთ-უნგრეთის კონფლიქტის გადაწყვეტამ.

ორივე ამ სახელმწიფოების ფაშისტური მთავრობები ნაცნობია ჩვენთვის თავისი რეაქციონური და იმპერიალისტური ბუნებით. უნგრეთის დიქტატორი ადმირალი ხორტი, რა თქმა უნდა, ერთგული დამცველია უნგრეთის რეაქციონური ფეოდალების ინტერესების. არც რუმინეთი ჩამორჩება მას ამ მხრივ. ბესარაბიის ანექსიონისტები, რომელთაც ფაშისტური ტერორის ქვეშ ჰყავს დაყენებული ბესარაბიის მთელი მოსახლეობა, არ დაერიდებიან ახალ ანექსიების მოხდენას, თუ კი ექნებათ ამის შემთხვევა და საშუალება.

რუმინეთის მთავრობამ ისარგებლა შექმნილი მოხერხებული მომენტით და ჩამოართვა მამული უნგრეთის ფეოდალებს, რომლებიც 1920 წ. დადებული ტრიანონის ხელშეკრულებით მოექცნენ ტრანსილვანიაში რუმინეთის ტერიტორიაზე. ამ საკითხის გადაწყვეტაში რუმინეთს უთუოდ, აიმედებდა მცირე ანტანტის „ქირისუფალი“ საფრანგეთი.

ერთა ლიგის სესიაზე უნგრეთის დელეგაციამ მოინდომა ამ საქმეში ინგლისის გამოყენება და სადავოდ გამოაცხადა რუმინეთის მიერ მოხდენილი უნგრეთის მოქალაქეთა მიწების კონფისკაცია. მაგრამ ჩემბერლენმა ვერ გაუმართლა მას იმედები, რადგან არ იყო მისთვის ხელსაყრელი უნგრეთის დამცველის როლში გამოსვლა მცირე ანტანტის წინააღმდეგ. როდესაც უკანასკნელი უფრო ესაჭიროებოდა მას.

უნგრეთის დელეგაცია ძლიერ ნაწყენი დარჩა ამ მარცხით, ინგლისის ასეთი პოზიციით, და ამიტომაა, რომ უნგრეთის რეაქციონური პრესა გაჯავრებული აცხადებს: „ჩემბერლენი, რომელიც სცნობს რუმინეთის მთავრობის უფლებას უცხოელ მოქალაქეთა კერძო საკუთრების შეუსყიდველათ ჩამორთმევაში, რომელი უფლებით მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან ნაციონალიზაცია - ქმნილ ინგლისის მოქალაქეთა საკუთრების ანაზღაურებას“-ო. მაგრამ ამ განცხადების მდეგ უნგრეთის რეაქციონერები ცდილობენ საქმის გამოსწორებას, ეძებენ ინგლისის დელეგაციის ასეთი ინერტიული პოზიციის გამართლების მიზეზს და დამნაშავეთ გამოყავთ ხორტის ფაშისტური მთავრობა, რომელსაც, თურმე, ვერ გამოუჩენია აქტიური მტრული განწყობილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ასეთი დასკვნის მიღების შემდეგ ისინი იძლევიან დირექტივას, რომ მომავალში გამოსწორებულ იქნას ეს შეცდომა და, მზგავსად რუმინეთ-ბულგარეთ-ჩეხო-სლოვაკიისა, მანაც დაიჭიროს აქტიური წინააღმდეგობის პოზიცია საბჭოების მიმართ, რომ ამით დაიმსახუროს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მიმდინარეობის სიმპატია.

უნგრეთის რეაქციონერები, როგორც სჩანს, ასეთი საშუალებებით ფიქრობენ წაგებული საქმის გამოსწორებას. უნგრეთის სოციალ-იმპერიალისტებიც, უთუოდ რეაქციასთან იქნებიან ამ შემთხვევაში, როგორც 1921 წ. უნგრეთის 1-ლ საბჭოთა რესპუბლიკის საწინააღმდეგო ბრძოლაში.

მაგრამ ასეთ შანტაჟისტურ პოლიტიკას, არ გაყვება უნგრეთის მშრომელი ხალხი, ასეთი შანტაჟისტური პოლიტიკა ვერ უშველის უნგრეთის რეაქციონერებსაც, რადგან საფრანგეთიც ასევე მოექცევა რუმინეთს, როდესაც ეს მისთვის საჭირო და სასარგებლო იქნება.

ინგლის-საფრანგეთის ვასალები უნდა დარწმუნდნენ, რომ ისინი მათი დიპლომატიური ჯაჭვის უბრალო რგოლებია, რომელთაც ადვილად გაიმეტებენ და გადაისვრიან, როდესაც ამას უკარნახებს მათი საკუთარი ინტერესები. ასეთია ბუნება კაპიტალისტური სახელმწიფოების და მას ვერავინ დაძლევს გარდა რევოლიუციისა, რამაც უნდა შესცვალოს ამ შანტაჟისტური პოლიტიკის საფუძვლები— კაპიტალისტური სისტემით

## საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის კონგრესი

ამ დღეებში დასრულდა საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის კონგრესი ბორდოში. კონგრესის შეკრება და მუშაობა მეტად ცუდ პირობებში მოხდა. ფედერაციის აქტიური ხელმძღვანელების თვალსაჩინო წევრებს, რომლებიც დაპატიმრებული არიან და მისჯილი აქვთ 20—30 წ. ციხე, არ ჰქონდათ საშუალება კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მიღების. სოციალ-გამყიდველ რენოდელებთან შეთანხმებული პუანკარეს რეაქციონური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რეპრესიების გაძლიერებით ხელი შეეშალა კონგრესის მუშაობისათვის.

მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებებისა, კონგრესმა მაინც დიდი მუშაობა შეასრულა. მან მტკიცე და გაბედული პოზიცია დაიკავა რეაქციისა და რეფორმისტ-ანარქისტების შემოტევის წინააღმდეგ და სრული ერთსულოვნებით გადასწყვიტა მის წინაშე დაყენებული ასე რთული და მნიშვნელოვანი კითხვები. კონგრესმა გადაჭრით განაცხადა, რომ ის სდგას პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისზე, იბრძვის იმპერიალიზმის და ომის წინააღმდეგ და ყოველ ღონეს იხმარს მუშათა კლასის საერთო ფრონტის შესაქმნელად.

ამ კონგრესმა დაგვანახვა, რომ უნიტარული კონფედერაცია, რომელიც აერთიანებს ნახევარ მილიონზე მეტ აქტიურად მებრძოლ რევოლიუციონერებს, დიდი ძალაა რევოლიუციონური მოძრაობის სახელმძღვანელოდ. ის ორგანიზაციული სიძლიერე, იდეური სიმტკიცე, და ფართო გავლენა მასებში, ასე ახასიათებს უნიტარულ კონფედერაციას, ჭეშმარიტად, რომ დამაფიქრებელია რეაქციონერებისა და რეფორმისტებისათვის.

საფრანგეთის რეფორმისტები დარწმუნებული არიან, რომ რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა უპირველესად ყოვლისა მათ წინაღმდეგაა მიმართული, მათ პრივილეგიურ მდგომარეობას ემუქრება და ამიტომ ასე შეთანხმებულათ მუშაობენ რეაქციასთან ერთად.

კონგრესის მუშაობის რევოლიუციონური ლოზუნგების ქვეშ ჩატარება და ერთსულოვანი გადაწყვეტილება ყველა პრინციპიალური და პრაქტიკული კითხვებისა, უდავო თავდებია მისი, რომ რეპრესიები და სოც.-გამყიდველების ღალატი არა თუ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს და ამტკიცებს მის გავლენას და მუშაობას ფართო მასებში.

კ. ჭეიშვილი.

# ინდუსტრიალიზაციის სესხი და მშრომელთა მოვალეობა

საბჭოთა ხელისუფლებამ მეტად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ყოფილი მთავრობისაგან. ისედაც ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა კიდევ უფრო გაანადგურა ოთხი წლის განმავლობაში წარმოებულმა ომმა და რაც საგარეო ომს გაუნადგურებელი გადარჩა, იმპერიალისტების მიერ მოწყობილმა სამოქალაქო ომებმა შეიწირა.

მხოლოდ 1921 წლიდან გახდა შესაძლებელი მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის ხელის მოკიდება. ეს ის დრო იყო, როდესაც საბოლოოდ დამარცხებული კონტრრევოლიუციის ნაშთებმა, ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებს შეაფარეს თავი.

მშრომელი ხალხის თავდადებულმა შრომამ რამოდენიმე წლის განმავლობაში შესძლო დანგრეული წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის აღდგენა ომის წინანდელი დროის დონემდე, მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი. სოციალიზმის განხორციელება მოითხოვს მრეწველობის უმაღლეს წერტილამდე განვითარებას და აი საბჭოთა ხელისუფლებამ დღის წესრიგში დასვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი.

ჯერ კიდევ გასულ საბიუჯეტო წელში ამ მიზნით გადადებული იქნა 850 მილიონი მანეთი, რომელიც მოხმარდა როგორც წარმოების რაციონალიზაციას, ისე ახალი ფაბრიკა-ქარხნების აგებას. მიმდინარე წლისათვის განზრახულია 1.600 მილიონ მანეთზე მეტის გადადება ამ მიზნისათვის.

როდესაც საკითხი ეხება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას, აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების განვითარება და რა საშუალებებით აღწევდენ კაპიტალისტები თავის მიზნებს.

ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და სხვა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი სახელმწიფოების მრეწველობა განვითარდენ კოლონიალური ქვეყნების ხარჯზე და აგრეთვე საგარეო ომების წარმოებით მიღებულ კონტრიბუციით.

კერძოთ გერმანიის მრეწველობის განვითარებას ძალზე შეუწყო ხელი 1871 წელს საფრანგეთისაგან მიღებულმა კონტრიბუციამ.

არა ნაკლებ როლს თამაშობდა აგრეთვე შინაური მუშათა კლასის ეკონომიური გაყვლეფაც.

სულ სხვა პირობებია საბჭოთა კავშირში რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციისათვის. საბჭოთა კავშირს არ სურს და არცა აქვს კოლონიები. ის არც საგარეო ომებს აწარმოებს, რომ მისგან მიღებული კონტრიბუციებით ააყვავოს საკუთარი ქვეყნის წარმოება. პირიქით. საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი სურვილით განაცხადა უარი როგორც მსოფლიო ომიდან კუთვნილ კონტრიბუციის მიღებაზე, ისე ჩინეთში ბოქსიორთა აჯანყების გამო მის წილ ხარჯზე, რომელსაც თვითმპყრობელობის მთავრობა ართმევდა ჩინეთის მთავრობას.

ვერც მუშათა კლასის შრომის ექსპლოატაციაზე დაამყარებს საბჭოთა მთავრობა იმედებს. პირიქით საბჭოთა კანონმდებლობით სასტიკად აკრძალულია მშრომელთა ეკონომიური გაყვლეფა.

მაშ რა გზით და საშუალებებით უნდა განხორციელდეს ჩვენში ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია?

საბჭოთა ხელისუფლება უნდა დაეყრდნოს იმ საკუთარ საშუალებებს, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება. ეს გახლავთ ის თანხები, რომელსაც არსებული წარმოება სტოვებს მისთვის საჭირო ყოველგვარ ხარჯების დაფარვის შემდეგ. მაგრამ მარტო ამ თანხებით შეუძლებელია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ჩქარის ტემპით განხორციელება. ჩვენი, ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული მრეწველობა ვერ იძლევა იმდენ თავისუფალ თანხებს, რომ საკმარისი იყოს ასეთი დიდი საქმის განხორციელებისათვის.

ასეთ პირობებში მთავრობას აქვს ორი გამოსავალი: პირველია საგარეო სესხის აღება, რომელსაც ხშირად მიმართავენ კაპიტალისტურ ქვეყნებში და მეორე საშინაო სესხი. საგარეო სესხის მიღებაზე ჩვენ დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ საშინაო სესხს გაცილებით მეტი უპირატესობა აქვს საგარეო სესხთან შედარებით. ჯერ ერთი სესხის ამღები სახელმწიფო უმრავლეს შემთხვევაში ვარდება იმ სახელმწიფოს გავლენის სფეროში, რომლიდანაც მან სესხი მიიღო.

სხვათა შორის ევროპის პატარა სახელმწიფოები სწორედ ამიტომ არის, რომ ხან ერთი დიდი სახელმწიფოს მახეში ებმებიან და ხან მეორეს. ისეთი დიდი სახელმწიფოც კი, როგორიცაა საფრანგეთი, განიცდის შეერთებული შტატების ზეგავლენას.

ესეც რომ არ იყოს, სესხის გამცემი სახელმწიფო უდგენს თავის კრედიტორს ძლიერ მძიმე პირობებს საგარანტიო უფლებებისათვის და მაღალ პროცენტებს. ასე რომ სესხის მიმღებმა სახელმწიფომ საბოლოო ანგარიშით უნდა გადაიხადოს ორჯერ მეტი იმ თანხისა, რომელიც მან სესხად მიიღო.

სულ სხვაა საშინაო სესხი. ამ სესხს სახელმწიფო იღებს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისაგან, რომელთაც ეს თანხები უდევთ უძრავად, უმოქმედოთ. ამით სარგებლობს როგორც სახელმწიფო, ისე გამსესხებელი მოქალაქეც. სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა უკანვე დაიბრუნოს ხმარებაში გასული ფულის ნიშნები და ამით შეამციროს ქაღალდის გამოშვება და განამტკიცოს ფულის კურსი. გამსესხებელი მოქალაქე კი გარდა იმისა, რომ ფულის კურსის განმტკიცება პირადათ მისთვისაც არის სასარგებლო, ღებულობს აგრეთვე გასასესხებელი ფულის პროცენტებს.

მართალია სახელმწიფომ შინაურ მოვალეებსაც უნდა აძლიოს პროცენტები, მაგრამ აქ უპირატესობა იმაშია, რომ ეს თანხა ისევ რჩება საკუთარი ქვეყნის შიგნით და ხმარდება მის კეთილდღეობის საქმეს. საგარეო სესხის პროცენტებს კი ჯიბეში იდებენ უცხო ქვეყნის კაპიტალისტები.

საბჭოთა მთავრობამ გამოსცა 200 მილიონის საინდუსტრიალიზაციო სესხის ობლიგაციები. რაში მდგომარეობს ამ სესხის მიზანი და დანიშნულება? რას უნდა მოხმარდეს ეს სესხი?

მისი ერთ-ერთი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, წარმოებისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინებას. საბოლოო ანგარიშით კი ეს ნიშნავს საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურად და ეკონომიურად გაძლიერებას, თავდაცვის უნარიანობის გადიდებას, უმუშევრობის მოსპობას და მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასეთია ამ სესხის მიზანი და დანიშნულება.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა ორასი მილიონის ობლიგაციები, რომლის შემძენნი მიიღებენ წლიურად ექვს პროცენტ სარგებელს, ათი წლის შემდეგ გასესხებულ თანხებს და გარდა ამისა ობლიგაციის პატრონს შანსები აქვს შეხვდეს მოგება რომელიმე ტირაჟიდან და აგრეთვე თავისი ობლიგაცია გამოიყენოს სხვადასხვა საჭიროებისათვის.

თვითეული ობლიგაცია ღირს 25 მანეთი, რომელიც გაიყიდება 24 მანეთად. შეიძლება შეძენილ იქნეს აგრეთვე მისი ერთი მეხუთედი, რომლის ღირებულება 4 მანეთი და 80 კაპ. ობლიგაციის შემძენისათვის დაწესებულია აგრეთვე რამოდენიმე თვე შეღავათი. ასე რომ მსურველს თავისუფლად შეუძლია მისი შეძენა.

რა მნიშვნელობა აქვს კერძოთ საქართველოსათვის ამ სესხის განაღდებას?

საქართველოს ელექტროფიკაციისა და წარმოების აღორძინების საქმე ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. ხუთწლიან საპერსპექტივო გეგმაში, გარდა მცირე მნიშვნელობის ფაბრიკა-ქარხნებისა, შეტანილია აგრეთვე დიდი საწარმოო ერთეულების შექმნა, როგორიცაა ქაღალდის ქარხანა, რომლის აგება ჯდება 13 მილიონი მანეთი, მა-

უდის საქსოვი ქარხანა თბილისში, ცემენტის ქარხანა კავთისხევში, ბარიტის წარმოება ქუთაისში, რიონჰესის აგება და მრავალი სხვა.

ყველა ამის თავის დროზე დამთავრებისათვის აუცილებელია საჭირო თანხების მიწოდება.

არა ნაკლები მნიშვნელობისაა აგრეთვე ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების დაწყება და გურიის ნავთის სამუშაოები. მართალია, ჯერ-ჯერობით არ ვიცით, თუ რა შედეგებს მოგვცემს გურიაში დაწყებული წინასწარი გამოკვლევითი მუშაობა ნავთის წყაროების აღმოსაჩენათ, მაგრამ თუ მან გაამართლა იმედები, ამას ექნება არა მარტო საქართველოსთვის არამედ მთელი კავშირისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა, ამიტომ დაწყებული საგამოკვლეო მუშაობა ლოღიკურ დასკვნამდე უნდა იქნეს მიყვანილი.

ასევე დიდი მნიშვნელობისაა ქაობების ამოშრობა, მდინარე რიონზე ნაოსნობის აღდგენა, არხების გაყვანა და საერთოდ მეურნეობის აღორძინებისათვის ზრუნვა.

ამრიგად ჩვენი ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობისათვის ზრუნვა გვიკარნახებს საინდუსტრიალიზაციო სესხის განაღდებისათვის მთელი ჩვენი ძალღონით ხელის შეწყობას.

ვინ უნდა იკისროს სესხის ობლიგაციების გასაღება?

რა თქმა უნდა დიდ იმედებს შეძლებულ კლასზე ვერ დავამყარებთ. ისინი არც დიდათ მოწადინებული არიან საბჭოთა რესპუბლიკების აღორძინების და არც არსებობენ ჩვენში დიდი შეძლების მქონე კლასები.

ობლიგაციების მთავარი შემძენი და გამსაღებელნი არიან მუშა-მოსამსახურეთა მასები და მშრომელი გლეხობა. ესენია უმთავრესი კადრი, რომლებმაც უნდა შეიძინონ ობლიგაციები. საბჭოთა ხელისუფლებაც სწორედ ამ მშრომელ მასებზე ამყარებს იმედებს.

ამიტომ თვითეული მუშის, თვითეული გლეხის, თვითეული მოსამსახურის და პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა შეგნებულად შეხვდეს ხელისუფლების მოწოდებას და შეიძინოს სესხის ობლიგაციები. ნურავინ იფიქრებს, რომ ვითომც მის მიერ გაღებულ მცირე წილიოს არ ჰქონდეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. თვითეული მანეთი, მშრომელის მიერ გაღებული მოხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას.

პროფესიონალური ორგანიზაციებისა, სოფლისა და თემის საბჭოების წინაშე სდგას მეტად დიდი ამოცანა. მათ უნდა განუმარტონ როგორც მუშებს, ისე გლეხობას სესხის მნიშვნელობა და მისი შეძენის სარგებლიანობა. არც ერთი მშრომელი არ უნდა დარჩეს ისეთი, რომ მას არ ჰქონდეს ობლიგაციის ერთი მეხუთედი მაინც შეძენილი. ამით ის მოიხდის თავის მოვალეობას მშრომელთა ხელისუფლების წინაშე.

ინდუსტრიალიზაციის სესხი გამოცდაა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხის შეგნების გამოსაცდელად. მან ეს გამოცდა შესაფერისად უნდა ჩააბაროს.

იმპერიალისტური ქვეყნების ინტრიგებს, მათ ფინანსიურ და ეკონომიურ ბლოკადას, რომელიც დღემდე გრძელდება, მათ სამზადისს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, ჩვენ უნდა ვუპასუხოთ საინდუსტრიალიზაციო სესხის თავის დროზე განაღდებით, წარმოების აღორძინებით, სასოფლო მეურნეობის განვითარებით და თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებით.

ასეთ პირობებში კი არავითარი საფრთხე აღარ იქნება საშიში სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის.

ს. ელიაძე.

# მომჭირნეობის რეჟიმი

(სადურგლო საამქრო)

სადურგლო საამქროში ამჟამად მუშაობს 250 მუშა-ხელოსანი. წარმოების საქმე ამ საამქროში ვერ არის საფუძვლიანად დაყენებული და არც ატყვია გაუმჯობესების ნიშნები. ამის მიზეზი ადმინისტრაციის სრული უვარგისობაა.

წინანდელი გამგე გადაიყვანეს. გუშინდელმა ვაჭარმა, დღეს კი მუშამ, ვინმე ქოიავამ, მოისურვა მანტიორობა, ესე იგი 60 მან. მაგივრათ მოინდომა 160 მან. ჯამაგირის მიღება. ამიტომ ქოიავას მომხრეები იყვენ გამგის წინააღმდეგ.

ინტრიგანებმა თავისი გაიტანეს: გამგე ახობაძე სხვა თანამდებობაზე გადაიყვანეს და ქოიავამაც მონტიორობა მიიღო...

მაგრამ დახე უბედურებას,—რომ ქოიავას ერთი თვის შემდეგ თვით მისი მომხრე მუშები აუჯანყდენ და მოითხოვეს ისევ მუშათ მისი ჩამოყენება, რადგან საქმისათვის სრულიად გამოუსადეგარი გამოდგა...

სხვაფრივ არც შეიძლებოდა: მანტიორად ინიშნება უმაღლესი კვალიფიკაციის ხელოსნები და არა უბრალო მუშა, რომელმაც არამც თუ ხელობა, იარაღის სახელებიც არ იცის.

აქ სამწუხაროა ის, რომ მთავარ სახელოსნოს უმაღლესი ადმინისტრაცია ამ დაუშვებელ დათმობაზე წავიდა თავიდანვე. გადაყვანილ საამქროს გამგის ადგილზე დანიშნეს „ბელგიის ინჟინერი“ არუთინოვი. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც არუთინოვი გამოდგა საქმის მცოდნე. ის ჯერ კიდევ, როცა ჩამომსხმელი საამქროს გამგის, თანაშემწე იყო, მოხსნას უპირებდნენ. საწარმოვო თათბირზე აღძრეს საკითხი მუშებმა, რომ დაენიშნათ სხვა თანაშემწე, რადგან არუთინოვი არც ადმინისტრატორათვარგოდა და არც ტეხნიკურ ხელმძღვანელად.

მაგრამ რაღაც გამოურკვეველი მიზეზის გამო, ეს უვარგისი თანაშემწე ინიშნება გამგეთ სადურგლო საამქროში. ახალ ადგილზე არუთინოვი სულ დაიბნა და რაკი საქმე არ იცის; ცდილობს საქმეების დაფასებაში მონაწილეობა არ მიიღოს...

ამას წინად ხომ მთელი პროვოკაცია შექმნა არუთინოვმა: გამოუცხადა მუშებს: საქმე არ მოითხოვოთ, თორემ შტატს ამოკლებენო. ამ ამბავმა დიდი აღელვება გამოიწვია მუშებში — რაც, რასაკვირველია, ცუდად მოქმედებს წარმოებაზე. ახალი გამგე სრულიად არ იცნობს რკ. გზ. მეურნეობას, — რის გამო, იხრდება დიდძალი მასალა. ნაწარმოები, საქმის უცოდინარობის გამო, ჯდება ორჯერ მეტი.

მაგალითები: ნომერი 468 ნარიადით გააკეთეს გამოსაწევი სპეც. ყუთებიანი მაგიდები და დაჯდა თითო 503 მან. ე. ი. ორი მაგიდა 1006 მან.

ეს იმ დროს, როცა თითო მაგიდა არ უნდა დაჯდეს თავის მასალით უმეტეს 160—180 მანეთისა. (ხელფასი მისცეს 177 მან.—90 მან. მაგივრად) ხელოსნებმა ამ დღეებში დაამთავრეს შკაფები: რომლებიც შეფასებულია ამნაირად: 15 მან., 62 მან. და 110 მან. ეს იმ დროს როცა პირველის გაკეთება ღირს არა ნაკლებ 45 მან., მეორე შედარებით სწორეა შეფასებული, ხოლო მესამე კი ღირს 85 მან. ასეთი უსწორ - მასწორო საქმის შეფასება დიდ უკმაყოფილებას ქნის მუშებში. ასეთ მოვლენებს ხშირად აქვს ადგილი. როცა ასეთ გამგეს ხედავთ ძალაუნებურათ ფიქრობთ, რომ იგი დანიშნულია პროტექციით, რაც ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია.

ანკეტაში მოქ. არუთინოვს უწერია, რომ ის არის „ინჟინერ მექანიკი“. მისი ტეხნიკური, წერა-კითხვა და ლაპარაკის უცოდინარობა მის ინჟინრობაში დიდ ეჭვს იწვევს. არუთინოვს იცნობენ, რომ მას ქონდა ფურნე, როგორც ინჟინერს—კი არავინ არ იცნობს.

საჭიროა ერთი მხრით გამოირკვეს არუთინოვის „ინჟინერობა“, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ბელგიაში ძალზე

განვითარებული ტეხნიკაა და საქვოა, რომ იქ არუთინოვისთანებს ინჟინრობის დიპლომი მისცენ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ რკ. გზას უკვე ქონდა **დროზდოვსკის** მაგალითი... საჭიროა აგრეთვე, რომ სადურგლო საამქროს დაენიშნოს უფრო გამოცდილი გამგე. ამას მოითხოვს წარმოების ინტერესი, ამას მოითხოვს, მომჭირნეობის რეჟიმი. საერთოთ კი საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ტეხნიკური ხელმძღვანელების დანიშვნას, რადგან თუ ტეხნიკურ ხელმძღვანელს ავტორიტეტი არ აქვს მუშა - ხელოსნებში, ის ვერაფერს ვერ გააკეთებს.

გარდა ამისა, ამჟამათ ათეული კუბიკ. საუენი მუხის, —რკინის გზისათვის გამოსადეგარი მასალა ყრია სადურგლო საამქროში, რომელიც ფუჭდება და ლპება ამავე დროს ნაწილობრივ დურგლებს სამუშაო არ ყოფნის, რადგან ტრანსპორტი ყველა ასი პროცენტით აღდგა. ამ მუხის მასალას გამოცდილი და ორგანიზატორი—გამგე გამოიყენებდა: მოაწყობდა ავეჯეულობის კეთებას და მოკლე ნაჭრებისაგან კი გამოხერხავდა ძვირათ ღირებულ პარკეტისათვის საჭირო მასალას, რომელზედაც ამჟამათ დიდი მოთხოვნილებაა. ყველა ამის გაკეთება კი შეუძლია გამოცდილ და მცოდნე ადამიანის ხელს. ამიტომ ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ პერსონალის დანიშვნას მთავარ სახელოსნოში უნდა მიექცეს მეტი ყურადღება. ის მეტი შერჩევით უნდა ხდებოდეს. ეს იქნებოდა ამავე დროს საუკეთესო მომჭირნეობის რეჟიმის გატარება. გამოცდილი ხელმძღვანელები მოგვცემდენ დიდ დადებით შედეგებს...

ჩვენ ვიმედოვნებთ ამას მიექცევა სათანადო ყურადღება...

ე. მამ—ლი

# ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის სამგლოვიარო საღამოზე

დიდი მსახიობის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სუმბათაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულ სამგლოვიარო საღამოს, რასაკვირველია, დიდძალი საზოგადოება დაესწრებოდა. ეს თავიდანვე უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული იმ კომისიას, რომელმაც კვირას, 25 სექტემბერს, კონსერვატორიის დარბაზში მოაწყო სამგლოვიარო საღამო, უკეთესი იქნებოდა, ეს საღამო მოეწყოთ რუსთაველის ან ოპერის თეატრში, სადაც მეტი საზოგადოება დაეტეოდა.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი.

სამწუხარო ის არის, რაც ამ საღამოს დაწყებას წინუძღოდა.

კონსერვატორიის შესავალ კარებთან აკრული იყო განცხადება:—„დარბაზში შესასვლელი ბილეთები დარიგდება კვირას, საღამოს 6 ნახ. საათზეო“. ხალხი ნაადრევად შეიკრიბა, ქვაფენილებზე არ ეტეოდა და კარებში შეჯგუფდა.

ბოლოს გაიღო კარებიც. კონსერვატორიის ადმინისტრაციამ ვერ გაითვალისწინა შემდეგი, არ დასწია შეკრებილი ხალხი უკან და მოზღვავეუბულ ხალხის სიმრავლემ, რომელიც შესასვლელ კარებში გაიჭედა, ჩაამტვრია კარების ორივე ნაწილის დიდრონი და ძვირფასი—მხატვრული შუშები!. ხალხი მიცვინდა კასას და რა აღმოჩნდა? კასაში აღარც ერთი ბილეთი აღარ იყო? ბილეთები წინადღით დაერიგებიათ განათლების კავშირში.

მაშ რაღა საჭირო იყო პრესაში გამოცხადება და კარებზე განცხადების აკვრა, თუ ბილეთებს წინდაწინ სხვაგან არიგებდენ?..

უმთავრესად ამ გარემოებამ შეიყვანა შეცდომაში შეკრებილი ხალხი და გამოიწვია სამწუხარო და ულამაზო საქციელი.

საქმე კიდევ ამითი არ დასრულდა. შეკრებილი ხალხის შეკავება ძნელი შეიქნა. ის შეიჭრა დარბაზში და დაიკავა ადგილები. მოხდა ის რაც ასეთ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო: „ბილეთიანი“ გარედ დარჩენ, „უბილეთოები“ დარბაზში მოექცენ!..

ამან გამოიწვია აურ-ზაური, საყვედური და უკმაყოფილება... რას გვეუბნება ეს სამწუხარო მაგალითი?

ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია საზოგადოებრივი აღზრდა და თუ ამას ხელი შეუწყო კიდევ გარეშე მიზეზებმა, როგორც ამ შემთხვევაში კონსერვატორიის ადმინისტრაციის მოქმედებამ ან უკეთ, რომ ვთქვათ: უმოქმედობამ, მივიღებთ ასეთ სამწუხარო შედეგს!..

ჯაფარ-ფაშა.

# ჩემი შთაბეჭდილებანი

ბორჩალოს მაზრა მეტად ჭრელი კუთხეა საქართველოში მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით. ისტორიულ ბედს აქ თავი მოუყრია სხვადასხვა ეროვნების ხალხისათვის: სომხებისათვის, ქართველებისათვის, მუსულმანებისათვის და გერმანელებისათვის. არც ერთი მათგანი არ შეადგენს მნიშვნელოვან უმრავლესობას. თვითეულ მათგანს შენახული აქვს თავისი ეროვნული ტრადიციები, უკეთ, რომ ვსთქვათ, ძველი უკულტურობა და ჩამორჩენილობა. მოსახლეობის დიდი უმეტესობა ეწევა სოფლის მეურნეობას.

მენშევიკების ხელისუფლების დროს ბორჩალოს მაზრაში ძლიერ გართულებული იყო დამოკიდებულება ამ ეროვნებათა შორის. ისინი მუდამ ებრძოდენ ერთმანეთს. რაშიაც ხშირად მონაწილეობას იღებდა საქართველოს ცენტრალური მთავრობაც. უნდა ითქვას, რომ თვით ხელისუფლება თავისი შოვინისტური პოლიტიკით, ხელს უწყობდა მათ შორის ეროვნული შუღლის და მტრობის შექმნას, რაც კიდევ უფრო ანადგურებდა ისედაც გაჭირვებულ გლეხობას.

ამჟამად უკვე აღარა აქვს ადგილი ძველ ანტაგონიზმს. საბჭოთა ხელისუფლების ინტერნაციონალურმა და სოლიდარულმა ბუნებამ და პოლიტიკამ სამუდამოთ წაართვა ყოველგვარი საფუძველი წინედ არსებულ ეროვნულ შუღლს მათ შორის. ბორჩალოს მაზრის ქართველი,სომეხი და მუსულმანური გლეხობა სრულებით დარწმუნებული არიან, რომ მათი სოციალური ინტერესები ერთნაირია, რომ მათი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და საერთო კეთილდღეობის შესაქმნელად აუცილებელი საჭიროა შეთანხმებული და სოლიდარული მუშაობა, ერთმანეთისათვის მხარში ამოდგომა და დახმარება.

მართლაც, ამჟამად, მათ შორის კარგი მეზობლური დამოკიდებულებაა, ყველა ისინი შეთანხმებული და შეერთებული ძალით მუშაობენ საერთო გაჭირვების დასაძლევად და სათანადო შედეგებიც აქვთ მიღებული.

მაგრამ მათი კულტურული დონე და ეკონომიური მდგომარეობა მაინც ძლიერ ცუდია. ბორჩალოს მაზრა დიდათ ჩამორჩენილია საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით და ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ გერმანელები. გერმანელებს იმდენად კარგად მოუწყვიათ თავისი მეურნეობა და ყოფა-ცხოვრება, რომ სამაგალითოა არა თუ ბორჩალოს მაზრის ღარიბ და კულტურულად ჩამორჩენილ გლეხობისათვის, არამედ ყველა სხვა კუთხეებისათვისაც. გერმანელების მეურნეობა და ცხოვრება პირველ შეხედვისთანავე გარწმუნებს, რომ ისინი ევროპიელები არიან, რომელთაც იციან, თუ როგორ უნდა იმუშაონ და იცხოვრონ. მათ მაგალითზე ადვილად რწმუნდება ადამიანი, რომ ჩვენს გლეხობას, თუ კი მათ ეცოდინებათ მეურნეობის საქმე, შრომის გამოყენება და ექნებათ კულტურა, შეუძლია კარგად მოაწყოს თავისი ყოფა-ცხოვრება.

მაგრამ ჩვენ გვსჯის სწორედ ჩვენი უკულტურობა და სიზარმაცე და ასეთ დასჯილ ხალხს წარმოადგენენ ბორჩალოს მაზრის გლეხობაც.

ადგილობრივი, მკვიდრი გლეხობა: ქართველობა, სომხები და მუსულმანები დღესაც ისე ცხოვრობენ, როგორც ერთი საუკუნის წინედ; ისევ მიწის სახლებში, ისევ ისე უკულტუროდ და გაჭირვებულად.

უსათუოდ დიდი დახმარებაა საჭირო, რომ მოვახერხოთ ამ ხალხის ასეთ გაჭირვებიდან და სიძნელიდან ამოყვანა: ამ მხრივ ეხლა კარგი ნიადაგია შექმნილი, არის შეგნება იმისი, რომ გლეხობის ინტერესები, მიუხედავათ ეროვნებისა, ერთი და იგივეა. საჭიროა ამ სოლიდარობის შეგნების პრაქტიკული დაახლოება, შეკავშირება, მატერიალური დახმარების გაწევა, და ამ საშუალებებით მათი ეკონომიურად და კულტურულად წინ წაწევა და განვითარება, ხოლო ამისათვის არ სჩანს საკმაო ინიციატივა და ხელმძღვანელობა.

14 სექტ. ლიუქსემბურგში, ყოფ. მენშევიკთა რწმუნებულების თათბირზე, მომეცა საშუალება ახლო გავსცნობოდი მათ სულიურ განწყობილებას, მათ ჭირვარამს. ისინი ზიზღით იგონებდენ მენშევიკების დროს, შეწუხებას გრძნობდენ მაშინდელი მტრული დამოკიდებულების გახსენებით, რასაც უდიდესი ზარალი მიუყენებია ისედაც გაღატაკებული ხალხისათვის. მენშევიკების აგიტაციას, მათში, რომელსაც ასეთი მწარე გაკვეთილი აქვს დატოვებული მათი ბატონობის დროს, რა თქმა უნდა, აქ ნიადაგი არ აქვს, ამ მაზრაში მათ ყველაზე ნაკლებ შეუძლიათ ხალხთან მისვლა, ვინმეს შეცდომაში შეყვანა.

გლეხობის თხოვნაა: მეტი ხელმძღვანელობა და დახმარება მეურნეობის და კულტურული განვითარებისათვის.

ჩვენი ვალია, რომ მათ მოვეხმაროთ ამ საქმეში, როგორც ტეხნიკურად, ისე მატერიალურად. მეტი ინიციატივა და ხელმძღვანელობა გამოვიჩინოთ და აქაური გლეხობა არაფერს დაიშურებს, რომ ბეჯითად შეხვდეს ამ საქმეს. ყველაფერი იღონოს გაჭირვებისა და უკულტურობისაგან თავის დასაღწევად.

ლ. კუპრაიშვილი.

# თბილისის ქალაქის კომუნალურ სექციაში

ქალაქის საბჭოში კომუნალური სექცია უდიდესი სექციაა. ამ სექციაში ეწერება ყველაზე მეტი რიცხვი დეპუტატებისა. ეს ასეც უნდა იყოს, მთელი ქალაქის კომუნალურ საქმეებს არჩევს და აწესრიგებს ეს სექცია. ტრამვაი, წყალსადენი, ელექტრო-განათება, ბინის საკითხი, აბანო, ქალაქის კეთილ-მოწყობა და მრავალი სხვა საყურადღებო საკითხები ისმება და მუშავდება კომუნალურ სექციაში.

მიმდინარე დასაწყისიდანვე სექციაში დაისვა შემდეგი საკითხები: ტრამვაის ბლეთების გაიაფება, წყალსადენის ქსელის გაფართოება, აბანოებში ფასების დაკლება, ზაჰესის ამუშავების გამო ელექტროსინათლეზე ფასების დაკლება და სხვა.

ტრამვაიზე ბილეთების გაიაფებამ დიდი კამათი გამოიწვია. სექციამ აირჩია ფართე კომისია და დაავალა მას საკითხის დაწვრილებით შესწავლა.

პირველად განზრახული იყო შემოგველო აბონომენტები მუშა-მოსამსახურეთათვის მანეთად და ყველა მოქალაქესათვის 1 მ. 20 კ., რადგანაც ამ გარემოებას უსათუოდ მოყვებოდა შემოსავლის დაკლება და ეს—კი ჯერ კიდევ არაა სასურველი წარმოებისათვის, ამიტომ ფართე კომისიამ უარჰყო ეს წინადადება, რადგანაც, როგორც გამოირკვა ჩვენს ტრამვაიზე არც ისე ძვირი ფასები ყოფილა დაწესებული. მაგალითად მოსკოვისა და ბაქოს ტრამვაიზე ფასები ჩვენსაზე გაცილებით დიდია. გამოირკვა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენი ტრამვაის დატვირთვა ვერაა იმდენი, რამენიც სასურველია. ჩვენს ტრამვაის შეუძლია გადაიყვანოს ორჯერ მეტი მგზავრები, ვიდრე დღეს გადაყავს.

ამიტომ, კომისიამ საჭიროდ დაინახა მოახდინოს ფასებში ისეთი ცვლილება რომ ტრამვაი 100 პროც. იქნეს დატვირთული. ეს კი შესაძლებელი გახდება მაშინ, თუ ჩვენ შეძლებას მივცემთ მოქალაქეს უფრო იაფად გაიაროს გზა ვიდრე დღეს არის.

კომისიამ დაადგინა: ტრამვაი № 3—4 და 11—12, პლეხანოვის გამზირითაც ისე, როგორც საბჭოთა ქუჩით—ბილეთის ფასი დაარსდეს 10 კაპ. ამ ნაირად მოქალაქეს საშუალება ეძლევა სადგურიდან მოხვდეს თავისუფლების მოედანზე და აბანოებიაკენ 10 კ.

თავისუფლების მოედნიდან სასაკლაომდი ღირდა 20 კაპ. ეხლა ღირს 15 კ. ეს საკმაოდ დიდი დაკლებაა და ის უსათუოდ გაადიდებს ტრამვაით მოგზაურთა რიცხვს, რაც თავისთავად აღწევს ტრამვაის დატვირთვასაც. სექციამ აგრეთვე დაამტკიცა აბონომენტის ღირებულება ერთ სადგურიანი ბილეთის ფასი—1 მ. 20 კ. ერთი მგზავრობა უჯდება აბონომენტის მყიდველს 4 კაპეიკი. მიეცათ შეღავათი წითელარმიელებს, რომლებიც 5 კ. გაივლიან ორსა და სამ სადგურს. გაიაფდა შესამჩნევად წლიური, ნახევარი წლის და სამი თვის უსახელო, თუ სახელობითი ბილეთები. აგრეთვე შემოღებულია მუშებისათვის აბონომენტი 1 მ. თვეში.

იზრდება ტრამვაიზე მოთხოვნილება როგორც მისი ქსელის გაფართოვების მხრით, ისე რონოდების რიცხვის გადიდების მხრითაც განსაკუთრებით განაპირა უბნებში.

სექციამ აბანოებში ფასის დაკლებაც მოინდომა. ეს საკითხი გადაეცა სამი წევრისაგან შემდგარ კომისიას, რომელმაც საქმის დეტალურად შესწავლისა და აწონ-დაწონვის შემდეგ, ვერ დაინახა შესაძლებლად აბანოების ფასების დაკლება. მისი აზრით ეს უსათუოდ დასწევს ამ დარგში შემოსავალს, არევ-დარევას შეიტანს ბიუჯეტის საქმეში და შეაფერხებს თვით წარმოებას. ამიტომ კომისია შეუდგა ისეთი ზომების გამონახვას, რის მიღება ასწევდა აბანოების შემოსავალს და მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებლობა ფასების დაკლების.

თუ ტრამვაის აკლია დატვირთვა და ამ უკანასკნელის გადიდებით აიწევს შემოსავალი, სულ სხვა მდგომარეობაა აბანოებში. —

აქ დატვირთვა უკვე მისულა 100 პროცენტამდე. და კომისიამაც სხვა მხრივ მიუდგა საკითხს.

უკვე ცნობილია, რომ თბილისში ერთობ ბევრია ჯერ კიდევ გამოუყენებელი მინერალური ცხელი წყლები. არის აგრეთვე იმედი სრულიად ახალი წყაროების აღმოჩენისა. მაგრამ რადგანაც ამისათვის დიდი დრო და თანხაა საჭირო, პირველად გამოყენებული უნდა იქნეს უკვე არსებული აბანოები, მაგალითად ისეთები, როგორიც ჯერ კიდევ კერძო მოიჯარადრის ხელშია.

ასეთია, მაგალითად, ერთი დიდი და წყალით მდიდარი აბანო კომუნალურ ქუჩაზე ყოფილი თამამშევის აბანო, რომელიც დღეს კერძო მოიჯარადრის ხელშია, რომელიც იხდის თვეში 35 მანეთს.

თუ ეს აბანო გადაკეთდა ისე, როგორც სხვა აბანოები, ის სავსებით დააკმაყოფილებს თბილისის წითელ ლაშქარს, რომელსაც დღეს უნდება ერთი აბანო (ყოფილი ბებუთოვის). აქვე შეიძლება მოეწყოს ორ დიდ საბანაო აუზს გარდა ოთხი ნომერი ჯარის კამანდისათვის. ერთი სიტყვით ყოფილი თამამშევის აბანო სავსებით დააკმაყოფილებს თბილისის ჯარს.

მართალია, აბანოს გადაკეთება დაუჯდება ალმასკომს ორმოცი ათას მანეთამდი, მაგრამ ეს სულ მალე იქნება ანაზღაურებული, რადგან ყოფილი ბებუთოვის აბანო შესძლებს დააკმაყოფილოს დღეში 1500 მობანავე და ასწოის დღიური შემოსავალი დაახლოებით 300 მანეთით.

ამიტომ კომისიამ დაადგინა იშუამდგომლოს სექციის წინაშე, რათა ეს საქმე რაც შეიძლება საჩქაროდ გატარდეს ცხოვრებაში. კომისიამ საჭიროდ სცნო შემოიღოს აბანოებში მუშაობა კვირაობითაც. ეს ერთი მხრით ხელს შეუწყობს აბანოების განტვირთვას, მეორე მხრით მოქალაქეთა მუშური ნაწილი, რომელიც დღეს ვერ ახერ-

ხებს აბანოებით სარგებლობას, მითი ისარგებლებს კვირა დღეს. შესაძლებელია აგრეთვე აბანოების საერთო რიცხვს მოემატოს ორი ახალი აბანო ყოფილი ნომრების ხარჯზე, რომლების გადაკეთდება ძვირი არ დაჯდება და შემოსავალს—კი ასწევს.

განზრახულია მირზოევის აბანოსთან მოეწყოს 7 ახალი ნომერი, რის პროექტი უკვე შედგენილია.

აი, ყველა ამ საშუალების და გეგმის განხორციელება საკმაოდ ასწევს აბანოების შემოსავალს და მაშინ შესაძლებელი გახდება ფასების დაკლების შესახებ ლაპარაკიც.

ქალაქის წყალსადენი ყველაზე უფრო მწვავე საკითხია. აღმასკომი და მისი კომუნალური სექცია ცდილობენ ამ დარგში რაც შეიძლება მეტი აქტიოვობა გამოიჩინონ. 50 წლის განმავლობაში წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად გადადებულია 113.000 მანეთი. ეს ფული რა თქმა უნდა, არ არის საკმაო ყველა ქუჩების წყლის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ საქმე ფულის ნაკლულობაში როდია. ფულიც რომ გამოვძებნოთ, ტეხნიკურადაც შეუძლებელია წელს ასეთი დიდი მუშაობის ასრულება.

ამიტომ დაისვა საკითხი, რომ პირველად გაყვანილ იქნას ახალი წყალსადენი ისეთ ქუჩებზე, საცა უფრო მწვავე საჭიროებაა წყალისა.

წელს სამუშაო გეგმას მიემატა შემდეგი ქუჩები: მეორე და ნაწილი მესამე ნაზაროთის ქუჩისა. პირველი, მეორე და მესამე ტყეკულტურის ქუჩები, სანამდისაც—კი აუწევს წყალის მაღლა აწევის შესაძლებლობა, და ახალ შენის ქუჩა. ყველა ეს ქუჩები მდებარეობენ ლენინის რაიონში (ნაძალადევში). დაემატა თამარაშენის ქუჩა—ერთობის უბანში. ხარფუხში—სეიდაბადის ქუჩა. ამნაირად მუშათა უბნებში ძალზე გადიდდება წრეულს წყალსადენის ქსელი და იმ მუშებს, რომლებიც 20—15 წლობით რამდენიმე ვერსის სიშორიდან მოქონდათ წყალი—მიეცემათ საშუალება თავის ეზოში იქონიონ იგი.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ორი გარემოება: წყალის მაგისტრალის გაყვანას ზემოდ ჩამოთვლილ ქუჩებში ძალზე უშლის ხელს ამ ქუჩების მთაგორიანი მდებარეობა და მათი დაუგეგმავ - გაუსწორებლობა. ოღრო-ჩოღროიან ქუჩებში წყალის მილების გაყვანა მეტად საძნელო საქმეა. ამიტომ აუცილებელია ამ ქუჩების დაგეგმვა-გასწორება მაინც, რათა წყალსადენს მიეცეს საშუალება უფრო ადვილად აწარმოოს აქ თავისი მუშაობა.

ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ არასასურველ მოვლენას:

სახლის პატრონების დიდი ნაწილი, იმ ქუჩებზე, სადაც უკვე არსებობს წყალსადენი, გაურბიან ეზოში წყალის გაყვანას. აქ საჭიროა აღმასკომმა გადასდგას შესაფერი ნაბიჯი და ასეთ პირებს სავალდებულო დადგენილებით დაავალოს წყალის თავისი ეზოში შეყვანა.

სამწუხაროდ ჩვენი ქალაქის ადგილ-მდებარეობა და მაღლობებზე გაშენებული ქუჩები ბადებს დიდ სიძნელეს ყოველ ადგილებზე წყალის მიწოდების საქმეში. ამის შეძლებას არ იძლევა დღევანდელი წყალსადენი, მაგრამ უკვე დასმულია საკითხი თბილისში ახალი წყალსადენის გამოყვანის შესახებ და მაშინ როგორც ეს ნაკლი, აგრეთვე სხვა მრავალი უხერხულობა - ნაკლულოვანებანი ძველი წყალსადენისა იქნება თავიდან აცილებული. სულ ორი-სამი წლის განმავლობაში თბილისს ექნება ნატახტარის წყაროს წყალი.

რას იზამს ახალი წყალსადენის შემდეგ ავჭალის სადგური და იქაური მუშა-მოსამახურენი? ამ ძველი სადგურის შესახებ დიდი ლაპარაკია. ალბათ, ის გადაეცემა ახლო-მახლო მდებარე სოფლებს თემ-აღმასკომებს და გამოყენებულ იქნება თბილისის ირგვლივ მდებარე სოფლის ველ-მინდვრების და ახლად გაშენებულ ტყეების მოსარწყავად.

**საბჭოს წევრი.**

# რკინისგზის მთავარ სახელოსნოების 27 მუშის დეკლარაცია

დღეს ყველა—ცოტათ თუ ბევრათ, პოლიტიკურათ გათვითცნობიერებულ მუშისათვის აშკარაა, რომ მთელი მსოფლიო ორ მოპირდაპირე ბანაკათ არის გაყოფილი.

ერთ მხარეზეა—საბჭოთა რესპუბლიკები, ახალი—მშრომელთა საბჭოების მმართველობის სისტემით და მისი კლასსიური მოკავშირე—მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი და მეორე მხარეზე-კი მსოფლიო იმპერიალისტური ბურჟუაზია. ამ ორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემის შორის—რევოლიუციის გამარჯვებიდგანვე სწარმოებს ბრძოლა.

ეს ბრძოლა ხან და ხან დრო გამოშვებით თუ ნელდებოდა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ზოგიერთი გავლენიანი წრეები იმპერიალისტური ბანაკიდან ფიქრობდნენ, საბჭოთა სისტემა თვით „მოლპებოდა“ ძირზე. იმედები მშრომელთა რესპუბლიკების მტრებს არ გაუმართლდათ.

საბჭოთა სამეურნეო ცხოვრების კაპიტალისტურათ გარდაქმნა არ მოხდა—პირიქით, რამდენი მეტი შესვენების დროს მიეცა, იმდენი წინ წაიწია საბჭოთა კავშირმა და განამტკიცა თავისი სასიცოცხლო სამეურნეო საფუძვლები. კაპიტალისტური სამეურნეო სისტემის ნაშთები საბოლოოთ ისპობა და მათ ნაცვლათ იზრდება გეგმიანი სოციალისტური მშენებლობა.

გიგანტური ნაბიჯით წინ მიიწევს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია-ინდუსტრიალიზაციის საქმე და მიემართება საბჭოთა კავშირების სამეურნეო განვითარება სოციალისტური გზით,—ახლო მომავალში სრულ დამარცხებას უქადის—კაპიტალიზმს.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მეურნეობის აღდგენა-განვითარება და გაძლიერება, რასაკვირველია არ გამოპარვიათ მსოფლიო იმპერალისტებს და უკვე დაიწყეს შეტევაზე გადასვლა, ჩვენი საკ. რესპ. წინააღმდეგ. უკვე ვამჩნევთ ომის ნიშნებს.

იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ფერხულს არ ჩამორჩა ქართველი ემიგრაცია და არავითარ საშუალებას არ ერიდება. რომ სახელი გაუტეხოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას, რათა ამით შექმნას ავტორიტეტი იმპერიალისტურ მთავრობებს—და პოპულიარული გახადოს მოსალოდნელი ომი ჩვენ წინააღმდეგ.

აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ დიდი და სანაქებო ღვაწლი ს. დ. პარტიის და მათი ხელმძღვანელების —მუშათა მასების რევოლიუციონურათ გაწვრთნაში და ორგანიზაციულათ დარაზმვაში — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ—წარსულში, მაგრამ დღეს მათი მთელი მოღვაწეობა არის აშკარა კონტრ-რევოლიუციონური და ყოვლათ მიუღებელი როგორც საერთოთ, ისე კერძოთ ჩვენი ერის მუშათა კლასისათვის.

ქართულ ემიგრაციის ლიდერების ნაწერები და აქ გამოშვებული პროკლამაციები ერთხელ კიდევ ამოწმებენ იმას, რომ ეს ხალხი ისე ძალზეა დაავადმყოფებული ჯიუტობის სენით, რომ თავის პატივმოყვარეობას შესწირეს მთელი ძველი რევოლიუციონური წარსული და ეხლა არ ენანებათ, რომ თან გადაატანონ ქართველი ერიც.

მხოლოდ ამას მიეწერება ის, რომ უნდათ ისარგებლონ საერთაშორისო ან შინაური გართულებით და გამოიყენონ რა ზოგიერთი უკმაყოფილო ელემენტები—ერთხელ კიდევ გაუმართონ ქართველ ხალხს „1924 წლის აგვისტო“. ამის წინააღმდეგ მოვალეა ყველა შეგნებულმა მუშამ ხმა აღიმაღლოს და ამის საშუალება არავის მისცეს.

დღეს ქართველი მშრომელი ხალხისათვის—ჩვენი ღრმა რწმენით სამოქალაქო მშვიდობიანობაა საჭირო, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი ენერგიით ვაწარმოოთ ჩვენი ერის ეკონომიურ-კულტურული აღორძინების საქმე.

ჩვენ—ერთი ჯგუფი სოც. დემ.—ძველი რკინის გზის მუშები—ჯერ კიდევ 1924-ში ჩამოვცილდით მენშევიკურ პარტიას და ემიგრაციის—ჩვენთვის მიუღებელ „საქმიანობას“ და ერთხელ და სამუდამოთ დავგმეთ მათი დამნაშავური პოლიტიკა. ეხლა-კი როცა იმპერიალისტური ბურჟუაზია უკვე შეტევაზე გადმოდის და ჩვენი ყოფილი პარტიული ამხანაგები ემიგრაციაში მათ მხარს უჭერენ—ჩვენ არ შეგვიძლია გაჩუმება; ჩვენ ვერ ვუღალატებთ რევოლიუციონურ პროლეტარიატს....

საბჭოთა კავშირების რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ვიბრძოდით და მათთან ერთად არა ერთხელ განგვიცდია დამარცხება, მაგრამ გამარჯვებაც ბევრჯელ გვიგემია.

და ვგმობთ ემიგრაციის მიერ შინ და გარეთ წარმოებულ ქართველი მშრომელი ხალხის და მთელი ერის დამღუპველ პოლიტიკას,—დღეიდან ვუბრუნდებით აქტიურ პოლიტიკას და ვდგებით კომუნისტური პარტიის რიგებში, რათა კვლავ შევამჭიდროვოთ და გავამაგროთ რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგები—მომავალი ბრძოლების გადასახდელათ.

აქეთ მოუწოდებთ ყველა პატიოსან მშრომელს, ვისაც სოციალისტური რწმენა და პროლეტარული სოლიდარობის გრძნობა არ ჩაქრობია და სურს ქართველი ერის ბედნიერება.

ეს არის ჩვენი გულწრფელი რწმენით, ქართველი ერის და ნამდვილი მშრომელი ხალხისათვის—სამსახური:

გაუმარჯოს მუშათა მთლიან ფრონტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს და აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერების მეჩირაღდნეს—მესამე ინტერნაციონალს!

1. ძნელაძე სილიბისტრო, 2. კალაძე დიმიტრი 3. კობახიძე ლევან, 4. თეთრაძე დიმიტრი, 5. ნაფეტვარიძე რაფაელ, 6. ყიფიანი მათე, 7. ნიკოლაიშვილი დათიკო, 8. ვაშაკიძე ვასილი, 9. ქუთათელაძე კონსტ., 10. ტორიკაშვილი იაგორი, 11. შავლაყაძე ილიკო, 12. ჭანტურია კირილე, 13. ფრანგიშვილი მელიტონი, 14. მოწონელიძე სანდრო, 15. თურქესტანიშვილი ვლადიმერი, 16ჯაბაური გიორგი, 17. ვაშაკიძე ფილიმონ, 18. ჟვანია დიმიტრი, 19. ჟვანია ვიქტორი, 20. ტოლომაშვილი ესტ., 21 გოგიშვილი ვასო, 22. ბურჭულაძე გაბრიელი, 23. თედორაშვილი ვასილი, 24. ავსაჯანოვი ივანე, 25. ღვაბერიძე გიორგი, 26. ქეშეშოვი ალექსანდრე, 27. მეგრელიშვილი ილია.

# ლენინის უბანი

1922 წლიდან ლენინის უბანის მე-6 შრომის სკოლის ადმინისტრაცია ყველას შესჩივის ამ სკოლის შენობის უვარგისობას. მართლაც, ვინც ამ სკოლის ოთახების სივიწროვეს გაეცნობა მისთვის აშკარაა, რომ აქ მოსწავლე ბავშვები უფრო ფიზიკურად დამახინჯდებიან, ვიდრე რამეს შეიძენდენ. ოთახები იმდენად პატარებია, რომ ხშირად ყოფილა შემთხვევა, სიცხისა და უჰაერობის გამო, მოსწავლე ბავშვებს გული წასვლოდეს და რისვაი-ვაგლახით მოებრუნებიონ. ამ მიზეზის გამო ლენინის უბნის მცხოვრები იძულებული არიან სხვა უბნის სკოლებში მიაბარონ თავისი პაწიები, მაგრამ ეს სკოლები მათზე ერთობ დაშორებულია და ეს ქმნის ერთობ ბევრ უხერხულობას პატარა ბავშვებისათვის.

ამ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით არა ერთხელ ყოფილა აღძრული შუამდგომლობა ალმასკომის წინაშე სკოლის ახალი და მიზნის შესაფერი შენობის აგების შესახებ. ახლა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამ გარემოებისათვის უკვე მიუქცევია ყურადღება ქალაქის ალმასკომს და ლენინის უბანში ახალი სასკოლო შენობის აშენების საკითხი სულ მალე იქნება დასმული საბჭოს კრებაზე.

ლ. ბებერი.

# წერილი პროვინციიდან

## საგარეჯო

უკვე დასრულდა თემაღმასკომის და თემსაბჭოს წევრთა საანგარიშო კამპანია. ამომრჩევლები საქმიანი და ჯანსაღი კრიტიკით შეხვდენ ამას.

კამპანიიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელ ხანში თემში აღმშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. სწარმოებდა: გზების, ხიდების, ბოგირების, არხების, სკოლების და სხვათა შეკეთება. ყველა ამაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გლეხობა. მარტო ის ფაქტი, რომ ამჟამად მთელ გარე-კახეთისათვის შენდება უზარ-მაზარი საავადმყოფო, ამ მიღწევების მაჩვენებელია, ხელისუფლება სათანადო ხელმძღვანელობას უწევს საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებს ამ საქმეში.

მიუხედავად ასეთი, დიდი მიღწევებისა და აღმშენებლობისა, კიდევ ბევრი ნაკლულევანებანი გვაქვს. საბჭოთა ხელისუფლების მთავარი მიზანი: სასოფლო-მეურნეობის აღდგენა და მისი კოლექტიურად დამუშავებაზე გადასვლა, არა თუ არ არის განხორციელებული, არამედ დაწყებულიც. წინედ ჩვენში მევენახეობა შედარებით კარგად იყო დაყენებული. ეხლა კი მეურნეობის ეს დარგი სრულ განადგურებამდეა მისული. ძველებური ვენახი ველარ ხეირობს, ხოლო ამერიკულ ლერწზედ დამყნილ ვაზის გავრცელებას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ასევეა ჩამორჩენილი მესაქონლეობა, მეხილეობა, და მეაბრეშუმეობა და სხვა, როდესაც მეურნეობის ყველა ამ დარგების დასაწყებად და განსავითარებლად ძალიან ხელშემწყობი პირობები გვაქვს.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა და ახლაც სდგას მიწადმოწყობის საქმე. მიწების უსწორ-მასწორობა და მეტნაკლებობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, რისთვისაც მოითხოვენ მიწადმოწყობის დაჩქარებით ჩატარებას.

, არ ექცევა სათანადო ყურადღება აგრეთვე ბოროტმოქმედების და სხვა უხნეო უარყოფითი მხარეების მამხილებელ წერილებს, რომელიც თავსდება ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში. დასასრულს უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენი თემი, შედარებით, დიდია მაგრამ ღარიბი და მატერიალურად ვერ ახერხებს ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რისთვისაც საჭიროა მაზრისაგან მეტი ყურადღება და დახმარება. ამჟამად თემისათვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოაგენს ერთი ელექტრომანქანის შეძენა, 9 წლედის შენობის აგება და თემის დაგეგმა, რომ გეგმის მიხედვით სწარმოებდეს აღმშენებლობითი მუშაობა.

აი ყველა ის, რასაც ამბობენ და მოითხოვენ ამომრჩევლები საბჭოს წევრებისა და ხელისუფლებისაგან.

გ. ძაბილაშვილი.

სარედაქციო კოლეგია.

ოომას.კომის სტამბა, კამოს ქ. № 68.